საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მეორე ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი : ივლისი 2013 – აპრილი 2014



SWEDEN

თბილისი 2014

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის

II ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: 2013 წლის ივლისი – 2014 წლის აპრილი

ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Sida-ს პოზიციას და ის არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

ივანე მერაბიშვილი (26 მაისის ეპიზოდი) 6

ივანე მერაბიშვილი (დასაქმების სახელმწიფო პროგრამისა და კვარიათის აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდები) 12

ივანე მერაბიშვილი, დავით ახალაია და სხვები (სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი) 20

გიორგი (გიგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი 25

გიორგი (გიგი) უგულავა და სხვები („თბილისის განვითარების ფონდის“ საქმე) 31

ნიკანორ მელია, ზურაბ ადეიშვილი, ცეზარ ჩოჩელი და სხვები (ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმე) 37

ბრალდებულ ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ არსებული სხვა მნიშვნელოვანი საქმე 40

მეგის ქარდავა (სერგო თეთრაძისა და სხვა პირების წამების ეპიზოდი) 42

ნიკა გვარამია 48

დავით (დათა) ახალაია (პოლიციელების ცემის საქმე) 51

ბაჩანა ახალაია (ე. წ. ციხის ბუნტის საქმე) 56

ბაჩანა ახალაია (ე. წ. რეინჯერის კურსის საქმე) 60

მოკლე აღწერილობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ 2013 წლის თებერვლიდან გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგს ახორციელებს. ეს არის მეორე ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აღნიშნულ საქმეებზე 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის მაისამდე გამართული სასამართლო სხდომების შესახებ. ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებიან პროცესებს, რომლებზედაც მაღალი თანამდებობის პირთა საქმეები იხილება. საქმეებზე დაკვირვება თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში მიმდინარეობს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნულ პროექტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მონიტორინგის შედეგების გასაჯაროების შემდეგ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება ყველა გახმაურებული საქმის მიმოხილვა. ამდენად, დაინტერესებული პირები შეძლებენ გაიგონ, როგორ იხილება აღნიშნული საქმეები სასამართლო სხდომათა დარბაზებში. ამისათვის ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ესწრება გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომებს, კრებს ინფორმაციას პროცესების მიმდინარეობის, მხარეთა აქტივობების და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. საბოლოო მონაცემების საფუძველზე დგება ანგარიში, რომელიც საზოგადოების ფართო წრეებისთვის არის გამიზნული.

ქვემოთ გთავაზობთ მონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და კონკრეტულ საქმეთა აღწერილობას.

მონიტორინგის შედეგად შემდეგი ძირითადი ტენდენციები და ფაქტები დაფიქსირდა:

- წინა მონიტორინგის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესებულია პროცესებზე პროკურატურის წარმომადგენელთა გამოსვლები. მათი პოზიცია ზოგ შემთხვევაში გაცილებით არგუმენტირებული იყო.

- წინა მონიტორინგის პერიოდისგან განსხვავებით, ბრალდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე არ არის დაფუძნებული. საქმეთა ნაწილზე პროკურატურას სხვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებებიც მოჰყავდა.

- მიუხედავად ამისა, პროცესებზე საყურადღებო ფაქტები და გარკვეული პრობლემები მაინც დაფიქსირდა. მაგალითად, ზოგიერთი შემთხვევა მოწმეთა არაობიექტურობის ეჭვს აჩენს.

- პროკურატურის რამდენიმე მოწმე თავად იყო ბრალდებული და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა. ამ მოწმეთაგან ზოგიერთის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მათი ბრალდების მხარის მოწმედ გამოსვლის პერიოდში შეწყდა. ეს მოწმეები ჩვენებებს ყოფილი თანამდებობის პირების წინააღმდეგ აძლევდნენ.

- გამოიკვეთა მოწმე, რომელიც სხვადასხვა თანამდებობის პირის წინააღმდეგ აძლევდა ჩვენებას. მაგალითად ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა პირმა, რომელიც ბაჩანა ახალაიას საქმეშიც მოწმედ ფიგურირებდა. სწორედ ამ ადამიანს ახალაიას ერთ-ერთ პროცესზე ჩვენების მიცემისას ხელის გულზე დაწერილი ინფორმაცია აღმოუჩინეს.

- ზოგ შემთხვევაში სასამართლოთა შენობებში ვერ ხერხდებოდა მოწმეების განცალკევება. ამის შედეგად ერთ საქმეზე დაბარებული რამდენიმე მოწმე სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდა და მათ კომუნიკაციის შესაძლებლობა ჰქონდათ. მონიტორები ხშირად აფიქსირებდნენ, რომ მოწმეები დერეფანში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

- გიორგი (გიგი) უგულავასა და დავით კეზერაშვილის საქმეზე დანიშნულმა მოსამართლემ განაცხადა, რომ, მისი მდივნის ინფორმაციით, მას ამ საქმის განმხილველი პროკურორი დაუკავშირდა და მოსამართლის მივლინებით დაინტერესდა. პროკურორმა კომუნიკაცია აღიარა, თუმცა მივლინებით დაინტერესება უარყო. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევის შესახებ იგი მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას აცნობებდა.

- მოსამართლე მხარეთა მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში თანაბრად აყენებდა მათი პასუხისმგებლობის საკითხს. მაგალითად, პროკურორი რევაზ ნადოი სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო მოსამართლემ 300 ლარით დააჯარიმა. ობიექტურ დამკვირვებელს დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროკურორი ხელოვნურად ცდილობდა პროცესის გაჭიანურებას. რამდენიმე სხდომაზე მოსამართლემ სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო ადვოკატები დააჯარიმა.

- რამდენიმე შემთხვევაში დაცვის მხარის წარმომადგენლებმა პროცესის დასრულების შემდეგ უსაფუძვლო პოლიტიკური განცხადებები გაავრცელეს.

- რამდენჯერმე დაცვის მხარის წარმომადგენლებმა პროკურორის და მოსამართლის არაობიექტურობის შესახებ დაუსაბუთებელი განცხადებები გაავრცელეს.

- რამდენიმე სხდომაზე პროკურორები პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას ცდილობდნენ (მაგალითად, გიორგი (გიგი) უგულავას და ბაჩანა ახალაიას საქმეები). ერთ შემთხვევაში პროცესის გაჭიანურება დაცვის მხარემ სცადა.

- დაცვის მხარის განცხადებით, ბრალდების მხარე სხდომაზე დასაკითხ მოწმეთა ვინაობას მას პროცესის გამართვამდე არაგონივრულად მცირე ხნით (ერთი დღით) ადრე ატყობინებდა.

- ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ 3 სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები (ბესიკ ბუგიანიშვილი, დავით მგელიაშვილი და გიორგი დარახველიძე) ამ საქმეების განხილვამდე მცირე ხნით ადრე, ერთსა და

იმავე დღეს გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამგვარი დამთხვევა გარკვეულ კითხვებს აჩენს. ასეთი პრაქტიკა საეჭვოს ხდის პროცესის ობიექტურობას, არ უპასუხებს გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს და სასამართლოში საქმეთა განაწილების სისტემის ხარვეზიანობაზე მიუთითებს.

- მონიტორინგის პერიოდში მედიასაშუალებებს კანონით დადგენილი წესით მუშაობაში ხელი არ შეშლიათ.

- მონიტორინგის პერიოდში ვრცელდებოდა მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებები, რომლებიც პირდაპირ არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას. ასეთი შემთხვევები შესაძლოა სასამართლოზე არაპირდაპირ ზეწოლად შეფასდეს. პროცესების მიმდინარეობისას პოლიტიკოსები მათ პოლიტიზებას ცდილობდნენ, რასაც შეეძლო არაპირდაპირ გავლენა მოეხდინა მოსამართლეებზე.

- ბაჩანა ახალაია 2012 წლის 6 ნოემბერს დააკავეს, მის მიმართ პირველი გამამტყუნებელი განაჩენი კი 2013 წლის 28 ოქტომბერს დადგა. ბრალდებული თითქმის 1 წლის განმავლობაში იყო დაპატიმრებული, თუმცა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ არსებობდა. მართალია, ეს არ არის კანონის დარღვევა, თუმცა აღნიშნული ფაქტი, ერთი მხრივ, კანონმდებლობის ხარვეზზე მიუთითებს და, მეორე მხრივ, ბადებს ეჭვს, რომ ბრალდების მხარეს შეეძლო ეს ხარვეზი ბოროტად (ბრალდებულის ხანგრძლივად პატიმრობაში დატოვებისთვის) გამოეყენებინა.

- გიორგი (გიგი) უგულავას სასამართლომ სხდომაზე მისი არყოფნისას მერის უფლებამოსილება შეუჩერა. მართალია, სასამართლო უფლებამოსილია ასეთი შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა და იგი პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერს ეხებოდა, უმჯობესი იქნებოდა, მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობაც მხარეთა თანდასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა.

დაკვირვებული საქმეების მიმოხილვა

ივანე მერაბიშვილი (26 მაისის ეპიზოდი)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების მხარის მტკიცებით, 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცველებმა მშვიდობიან მომიტინგეთა მიმართ არათანაზომიერი ძალა გამოიყენეს. მომიტინგეებს ტერიტორიის დატოვების საშუალებაც არ მიეცათ, ვინაიდან გაცემული იყო ბრძანება, გაცემული იყო ბრძანება ჩაეკეტათ ყველა გასასვლელი ქუჩა და დაეკავებინათ მაქსიმალურად მეტი მომიტინგე, რათა მათ არ მისცემოდათ მიტინგის გაგრძელების შესაძლებლობა. ეს ბრძანება კი იმ დროინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა გასცა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

დაცვის მხარემ რამდენჯერმე მოითხოვა პროკურორების აცილება იმ მოტივით, რომ ივანე მერაბიშვილისთვის, როგორც ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის, ბრალი, რიგითი პროკურორის ნაცვლად, მთავარ პროკურორს უნდა წაეყენებინა. ამ არგუმენტის საპასუხოდ ბრალდების მხარემ განმარტა, რომ მთავარი პროკურორის მიერ მთავრობის წევრის მიმართ დევნის განხორციელება მაშინ არის სავალდებულო, როდესაც დევნის მომენტში ამ ადამიანს ისევ თანამდებობის პირის სტატუსი აქვს, მოცემულ შემთხვევაში კი ივანე მერაბიშვილი აღარ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და, ამდენად, მისთვის ბრალის წაყენების უფლება რიგით პროკურორსაც ჰქონდა.

ივანე მერაბიშვილმა პროტესტის ნიშნად რამდენჯერმე დატოვა სხდომის დარბაზი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა მისი ციხიდან გაყვანის ფაქტზე გამოძიების დაწყების შესახებ.

ბრალდების მხარის ერთ-ერთი მთავარი მოწმის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა, თუმცა მოწმის მიერ სხდომაზე ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის მომენტისთვის დევნა შეწყვეტილი იყო.

მოცემულ საქმეზე ერთ-ერთი მოწმე (ს. ქ.) იყო ასევე მოწმე ბაჩანა ახალაიას საქმეზე. **ს. ქ.-ს ბაჩანა ახალაიას პროცესზე ჩვენების მიცემისას დაცვის მხარემ ხელზე დაწერილი ინფორმაცია აღმოუჩინა.** დაცვის მხარემ აღნიშნულ მოწმეს ზემოხსენებულ გარემოებაზე მიუთითა. მოწმემ მითითებული ფაქტი არ უარყო და განაცხადა, რომ თავის სხეულზე წარწერას საკუთარი სურვილისამებრ ნებისმიერ ადგილას გაიკეთებდა და ეს ადვოკატის განსახილველი არ იყო.

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ შეეფარდა, ვინაიდან მას ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ უკვე შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა ამომრჩევლის

მოსყიდვისა და საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის საქმეზე (იხ. ქვემოთ). თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამატებითი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება საჭირო არ იყო.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა პროკურორების აცილების თაობაზე, ვინაიდან, მისი მტკიცებით, ივანე მერაბიშვილისთვის ბრალი მთავარ პროკურორს უნდა წაეყენებინა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განმარტა, რომ მთავარი პროკურორის მიერ მთავრობის წევრის მიმართ დევნის განხორციელება მაშინ არის სავალდებულო, როდესაც დევნის მომენტში ამ ადამიანს ისევ თანამდებობის პირის სტატუსი აქვს, მოცემულ შემთხვევაში კი ივანე მერაბიშვილი აღარ იყო შინაგან საქმეთა მინისტრი.

განჩინება: სასამართლომ პროკურატურის არგუმენტაცია გაიზიარა და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

2. 2013 წლის 17 დეკემბერს ივანე მერაბიშვილმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში გააკეთა განცხადება[1] მისი ციხიდან გაყვანის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით მან თბილისის საქალაქო სასამართლოში დააყენა შუამდგომლობა, მოსამართლეს საგამოძიებო ორგანოებისთვის მისი ციხიდან გაყვანის ფაქტზე გამოძიების დაწყება დაევალებინა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაწყებული არ იყო და არც მხარეები არსებობდნენ.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა. მოსამართლემ განმარტა, რომ მითითებულ ფაქტზე გამოძიება დაწყებული არ იყო და სასამართლო ვერ მოითხოვდა მტკიცებულების ამოღებას იმ საქმეზე, რომელსაც მხარეები არ ჰყავდა. დაცვის მხარემ აღნიშნული შუამდგომლობა სხვა სხდომაზედაც დააყენა, თუმცა მოსამართლემ იგი არ განიხილა. მოსამართლის განმარტებით, სასამართლომ ეს შუამდგომლობა უკვე განიხილა და მისი ხელახლა განხილვის საფუძველი არ არსებობდა. <u>მოსამართლის ამ გადაწყვეტილების შემდეგ ივანე მერაბიშვილმა და რამდენიმე დამსწრე პირმა პროტესტის ნიშნად სხდომის დარბაზი დატოვა.</u>

3. დაცვის მხარემ მოითხოვა დამატებითი დრო დაკითხვის ტაქტიკის შემუშავებისთვის, ვინაიდან სხდომაზე დასაკითხ მოწმეთა ვინაობას მას პროკურატურა წინა დღეს ატყობინებდა; ამდენად, მას არ ჰქონდა საკმარისი დრო დაცვის ტაქტიკის მომზადებისთვის.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და დაცვის მხარეს იმ სამართლებრივი ნორმის განმარტება სთხოვა, რომელსაც ის აღნიშნული შუამდგომლობის დაყენებისას ეყრდნობოდა.

[1] http://www.youtube.com/watch?v=qGSQmjyvKGg

განჩინება: მოსამართლემ სხდომა არ გადადო, თუმცა შესვენება გამოაცხადა.

4. დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა არცერთხელ არ დააკმაყოფილა.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების – „დენსუსის“ დასკვნის – დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე. ბრალდების მხარის განმარტებით, „დენსუსის“[2] დასკვნის მტკიცებულებად წარმოდგენასთან ერთად დაცვის მხარე ვალდებული იყო, დასკვნის ავტორები დასაკითხ პირთა სიაში შეეყვანა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარის განცხადებით, აღნიშნული დასკვნის საქმისთვის დასართავად ცნობილი უნდა ყოფილილიყო ამ დოკუმენტის წარმომავლობა და ავთენტიკურობა, ეს მთავარი პირობა კი ამ შემთხვევაში შესრულებული იყო.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ივანე მერაბიშვილის განცხადებით, მიტინგის დაშლის პროცესში პოლიციამ დატოვა გზა, რომლითაც მომიტინგეები ტერიტორიიდან გასვლას შეძლებდნენ. იმის გამო, რომ მომიტინგეები არ გავიდნენ პოლიციის მიერ განსაზღვრული ადგილიდან, ერთ-ერთი პოლიციელი დაშავდა და შემდეგ გარდაიცვალა. ამ ფაქტმა აღაშფოთა გარდაცვლილი პოლიციელის იქ მყოფი მეგობრები. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთმა მათგანმა ძალას გადაამეტა.

მიტინგის დაშლის მთავარ მიზეზად ივანე მერაბიშვილი საქართველოს ევროინტეგრაციისთვის ხელის შეშლის მიზნით ნინო ბურჯანაძის რუსეთთან კავშირი დაასახელა.

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც მოწმის სახით დაიკითხა, განაცხადა, რომ მომიტინგეები გაქცევას ცდილობდნენ, თუმცა ყველა გზა გადაკეტილი იყო. თავად მან გასვლა მხოლოდ ჟურნალისტის მოწმობით შეძლო.

მოწმეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მომიტინგეებს დროშის ტარები და პლასტმასის მილები ჰქონდათ, თუმცა ისინი მათ ძალადობისთვის არ გამოუყენებიათ და, რომც მოენდომებინათ, ამას ვერ შეძლებდნენ, ვინაიდან ადგილზე სპეციალური დანიშნულების რაზმის ბევრი წარმომადგენელი იყო.

ნონა გაფრინდაშვილის ჩვენების თანახმად, მას სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა. გაფრინდაშვილის თქმით, ძალადობისას ისმოდა სპეცრაზმის შეძახილები: „ეს მიშასგან, ესეც ვანოსგან“.

---

[2] „დენსუსის“ დასკვნა – 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შესახებ დასკვნა, მომზადებული ამერიკული კომპანიის მიერ.

დაიკითხა ასევე ნინო ბურჯანაძე. მან იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება და მიტინგის დაშლის დღეს მომხდარი მოვლენები აღწერა.

ბრალდების მხარის მთავარი მოწმეები იყვნენ **შ. ჯ.** და **ს. ქ.**. ეს პირები უშუალოდ ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრას, რომელზედაც მიტინგის დარბევის გეგმა მუშავდებოდა.

აღნიშნულმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, პოლიციას მაქსიმალური რაოდენობის მომიტინგეები უნდა დაეკავებინა. ამის ძირითადი მიზეზი 26 მაისს აღლუმის შეუფერხებლად ჩატარება იყო.

მოწმეთა განცხადებით, თავდაპირველად შემუშავებული გეგმა მომიტინგეებისთვის გასასვლელების დატოვებას ითვალისწინებდა, თუმცა 26 მაისს რეალურად სხვა გეგმა განხორციელდა. **შ. ჯ.**-ის და **ს. ქ.**-ის თქმით, პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) თანამშრომლები იყვნენ მობილიზებული. მათ პარლამენტის შენობიდან გასვლა ეკრძალებოდათ, თუმცა ისინი არ დაემორჩილნენ ბრძანებას, თვითნებურად გავიდნენ გარეთ და მომიტინგეების მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელება დაიწყეს.

შ. ჯ.-მ განაცხადა, რომ მიტინგის დაშლის პროცესში მან ივანე მერაბიშვილს დაურეკა და იქ არსებული ვითარება მოახსენა. მოწმის თქმით, მერაბიშვილმა მას ასე უპასუხა: „ნუ იდარდებ“.

შენიშვნა: დაცვის მხარის შეკითხვიდან დადგინდა, რომ აღნიშნული მოწმე (შ. ჯ.) სხვა საქმეზე იყო ბრალდებული, თუმცა მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

ბრალდების მხარის მეორე მოწმემ, ს. ქ.-მ, რომელიც ასევე იმყოფებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, განაცხადა, რომ ისიც მოქმედებდა ძველი გეგმით, რომლითაც მომიტინგეებს რუსთაველის გამზირიდან გასვლის საშუალება უნდა ჰქონოდათ, თუმცა მიტინგის დაშლის პროცესი სხვაგვარად წარიმართა. მოწმის ჩვენების თანახმად, გამოჩნდა სპეცრაზმელთა ერთი ნაწილი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, ყველა გზა გადაიკეტა და მომიტინგეებს არ მიეცათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა.

შენიშვნა: აღნიშნული პირი (ს. ქ.) მოწმის სტატუსით ბაჩანა ახალაიას საქმეშიც ფიგურირებდა. მას ბაჩანა ახალაიას პროცესზე ჩვენების მიცემისას დაცვის მხარემ ხელზე დაწერილი ინფორმაცია აღმოუჩინა.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

დაცვის მხარის მთავარი მოწმეები იყვნენ: შ. ტ., ი. ფ. და გ. ლ..

აღნიშნულმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ, არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, მომიტინგეები საკუთარი ნებით დაშლას არ აპირებდნენ; ამდენად, პოლიციას უფლება ჰქონდა, მიტინგის იძულებით დაშლის საშუალებები გამოეყენებინა.

ერთ-ერთი მოწმე იმყოფებოდა სპეციალურად შექმნილ შტაბში, საიდანაც მონიტორებით ადევნებდნენ თვალყურს რუსთაველის გამზირზე არსებულ ვითარებას. ადგილზე იყვნენ უცხოელი ექსპერტებიც, რომელთაც მოგვიანებით სპეციალური დასკვნა („დენსუსის“ დასკვნა) დაწერეს.

დაცვის მხარის მოწმეებმა განაცხადეს, რომ მათ ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, ნინო ბურჯანაძეს კავშირი ჰქონდა რუსეთთან, რითაც საფრთხე ექმნებოდა საქართველოს ევროინტეგრაციას, კერძოდ, იგეგმებოდა რუსეთის ჯარის საქართველოში შემოყვანა. გაცემული ბრძანების თანახმად, მათ მხოლოდ ის მომიტინგე უნდა დაეკავებინათ, რომელიც მიტინგის დაშლის დროს წინააღმდეგობას გაუწევდა ან ფიზიკურად დაუპირისპირდებოდა პოლიციას. მოწმეთა თქმით, მომიტინგეებისთვის სპეციალური გასასვლელი იყო დატოვებული. მათ ისიც დაადასტურეს, რომ ცალკეულმა პოლიციელებმა ძალას გადაამეტეს. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ მათ შემდგომ ძალის გადამეტების ფაქტების გამოძიება დაევალათ. მათ ასევე მიუთითეს, რომ პოლიციელთა აგრესია გამოიწვია ერთ-ერთი პოლიციელის გარდაცვალებამ, რომელსაც ნინო ბურჯანაძის ესკორტი დაეჯახა.

6. განაჩენი

ივანე მერაბიშვილს 26 მაისის საქმეზე ბრალი წაეყენა 2013 წლის 28 მაისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით).

მოსამართლემ ივანე მერაბიშვილი უდანაშაულოდ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით) განსაზღვრულ ბრალდებაში, თუმცა იმავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით) გათვალისწინებულ ბრალდებაში იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი.

საბოლოოდ ივანე მერაბიშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაგრამ სასჯელის ვადა შემცირდა და 4 წლითა და 6 თვით განისაზღვრა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესზე მხარეთა უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. პროკურატურის პოზიცია, წინა მონიტორინგის პერიოდისგან განსხვავებით, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე არ ყოფილა დაფუძნებული. პროკურატურამ პროცესზე წარმოადგინა მტკიცებულებათა რამდენიმე ტომი, მათ შორის, ექსპერტთა დასკვნები, სამედიცინო ისტორიები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებული ანგარიში, ვიდეომასალა და სხვა.

მიუხედავად ამისა, პროცესზე დაფიქსირდა შემთხვევები, რომლებიც ზოგიერთი მოწმის მიმართ უნდობლობას იწვევს. მაგალითად, სხდომაზე მოწმედ გამოვიდა პირი, რომლის მიმართ, დაცვის მხარის განცხადებით, სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა, აგრეთვე პირი, რომელსაც ბაჩანა ახალაიას პორცესზე მოწმედ გამოსვლისას ინფორმაცია ხელისგულზე ჰქონდა დაწერილი.

ასევე აღსანიშნავია დაცვის მხარის განცხადება, რომ პროკურატურა მოწმეთა ნაწილის შესახებ ინფორმაციას მას პროცესის გამართვამდე არაგონივრულად მცირე ხნით ადრე აწვდიდა. ეს შესაძლოა დაცვის მხარის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებისთვის ხელის შეშლის ცდად შეფასდეს. ამასთანავე, სასამართლომ რამდენჯერმე არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა აღნიშნული მიზეზით სხდომის გადადების თაობაზე. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დარღვეულიყო მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

ბრალდებულმა ივანე მერაბიშვილმა არაერთხელ გააკეთა განცხადება მისი ციხიდან გაყვანის თაობაზე, თუმცა მასთან დაკავშირებით ქმედითი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

ივანე მერაბიშვილი (დასაქმების სახელმწიფო პროგრამისა და კვარიათის აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდები)

I. დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი – ამომრჩევლის მოსყიდვა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი, კახეთის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვა.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების მხარის მტკიცებით, ზურაბ ჭიაბერაშვილმა და ივანე მერაბიშვილმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დასაქმების სახელმწიფო პროგრამა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენეს. პროკურატურა ასობით მოწმეზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით ფიქციურად იყო დასაქმებული 22 ათასამდე მოქალაქე და თითოეულ მათგანს 240 ლარი ერიცხებოდა არა უმუშევართა აღრიცხვისთვის, არამედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო აგიტაციისათვის და შემდგომ არჩევნებში ხმის მიცემისათვის. პროკურატურის განცხადებით, ამ ქმედების შედეგად მერაბიშვილმა და ჭიაბერაშვილმა სახელმწიფოს 5 მილიონ 200 ათასი ლარის ზიანი მიაყენეს.

II. კვარიათის აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი – კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დარღვევა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ივანე მერაბიშვილმა 2009 წლის მაისში აგარაკი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, მისი იძულებით და დაშინებით დაიკავა. იგი თავის ოჯახთან ერთად თითქმის ოთხი წლის განმავლობაში უსასყიდლოდ სარგებლობდა ამ ქონებით. მანვე ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და სხვისი აგარაკის საკუთარი ოჯახის წევრების გემოვნებით მოწყობის მიზნით იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებებით გაარემონტა. დანაშაულის კვალის დასაფარავად ივანე მერაბიშვილმა გამოიყენა საიდუმლო ხარჯები, რომლებითაც, კანონის თანახმად, დანაშაულთან ბრძოლისათვის გათვალისწინებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო. მისივე განკარგულებით სამინისტროს ბიუჯეტიდან იფარებოდა აგარაკზე მომუშავე დამხმარე პერსონალის სახელფასო ანაზღაურებაც. ამის შედეგად სახელმწიფოს 158 000 ლარის ზიანი მიადგა.

შენიშვნა: საქმეს ქუთაისის საქალაქო სასამართლო იხილავდა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

2013 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე ივანე მერაბიშვილმა პირველად განაცხადა, რომ ღამის ორის ნახევარზე იგი ციხიდან გაიყვანეს[3]. მისი ვარაუდით, იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში გადაიყვანეს. მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ადგილზე მას 2 ადამიანი დახვდა. ერთ-ერთი მაშინდელმა მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე, იყო (მერაბიშვილმა ფარცხალაძის ფოტოს დემონსტრირება მოახდინა).

მერაბიშვილის თქმით, შეხვედრაზე მთავარმა პროკურორმა მას ულტიმატუმი წაუყენა და განუცხადა, რომ, თუ იგი პროკურატურას ზურაბ ჟვანიას საქმის გახსნაში არ დაეხმარებოდა და მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას არ მიაწვდიდა, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებოდა, რადგან ღარიბაშვილის მთავრობა დიდხანს იქნებოდა ხელისუფლებაში და ამ ხნის განმავლობაში ის ციხიდან ვერ გამოვიდოდა. მას პარტიული და არაპარტიული მეგობრებისა და ნათესავების დაპატიმრებითაც დაემუქრნენ. მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ მას გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული დრო მისცეს და დაჰპირდნენ, რომ თანხმობის შემთხვევაში გაათავისუფლებდნენ და საზღვარგარეთ წასვლის საშუალებას მისცემდნენ.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მისი ნათქვამის დადასტურება მარტივად – საკნიდან ციხის შენობის გამოსასვლელამდე არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების შემოწმებით – შეიძლებოდა. მან გამოძიების დაწყება მოითხოვა.

მერაბიშვილმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება სხვა სხდომაზედაც გააკეთა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.

ერთ-ერთ სხდომაზეივანე მერაბიშვილმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა, მანამდე კი მისი დამცველების აცილების საკითხი დააყენა. დამცველებმა, მიუხედავად მოსამართლის გაფრთხილებისა, რომ სხდომის დარბაზის დატოვება მხოლოდ მისი ნებართვის შემდეგ შეეძლოთ, მაინც დატოვეს იგი. მოსამართლემ ეს სასამართლოსადმი უპატივცემულობად მიიჩნია და ყველა ადვოკატი 200 ლარით დააჯარიმა. იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდებული ივანე მერაბიშვილი დამცველის გარეშე დარჩა, სასამართლომ გამოიტანა განჩინება მისთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნის შესახებ. მომდევნო სხდომაზე სახაზინო ადვოკატმა თვითაცილება მოითხოვა. მოსამართლემ ადვოკატს განუმარტა, რომ მას საქმეს მხოლოდ მაშინ ჩამოაცილდნენ, როცა ამის თაობაზე პროცესზე თავად ბრალდებული, ივანე მერაბიშვილი, განაცხადებდა. ამის შემდეგ სახაზინო წესით დანიშნულმა ადვოკატმა მოითხოვა სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ საქმე დიდი მოცულობის იყო და მის გასაცნობად დრო სჭირდებოდა. სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

დაცვის მხარემ რამდენიმე მოწმეს ჰკითხა, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი დაკითხვამდე რამდენიმე დღით ადრე პროკურატურაში. მოწმეებმა განაცხადეს, რომ ისინი ნამდვილად იმყოფებოდნენ პროკურატურაში. მათი განმარტებით, პროკურატურაში ყოფნისას ისინი გააფრთხილეს, რასთან დაკავშირებით უნდა მიეცათ ჩვენება, და პროცესის დღისთვის ფსიქოლოგიურად მოამზადეს. მოწმეთა ნაწილის თქმით, პროკურატურაში მათ უბრალოდ აცნობეს, რომ ვალდებული იყვნენ, სასამართლოში გამოცხადებულიყვნენ.

აღსანიშნავია, რომ სხდომა რამდენჯერმე დაიხურა. ამის მიზეზი ყველა შემთხვევაში იყო მოწმეთა დაკითხვა, რომლის დროსაც მათ სახელმწიფო საიდუმლოებაზე უნდა ესაუბრათ.

[3] http://www.youtube.com/watch?v=qGSQmjyvKGg

ბრალდების მხარეს 3969 მოწმე ჰყავდა დასაკითხი, თუმცა საქმის განხილვის გაჭიანურების გამო ყველა მოწმე აღარ დაიკითხა.

დარბაზში მყოფი პარლამენტის წევრი გიორგი (გოგა) ხაჩიძე პროცესზე ფოტოებს იღებდა. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა პირისთვის ფოტოგადაღების აკრძალვის შესახებ. მოსამართლემ განმარტა, რომ ფოტოს გადაღებასაც წინასწარი ნებართვა სჭირდებოდა. მან მოუწოდა სხდომაზე დამსწრეებს, თავი შეეკავებინათ ფოტოების გადაღებისგან.

ერთ-ერთი სხდომის ვიდეოგადაღებას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აწარმოებდა. მას გადაღებაში ხელი არ შეშლია, თუმცა იყო მცირე ტექნიკური გაუმართაობა, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლემ განმარტა, რომ ტექნიკური უზრუნველყოფა „პირველ არხს“ თავად უნდა განეხორციელებინა.

ერთ-ერთ სხდომაზე „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ არ ისარგებლა გადაღების უფლებით და ეს უფლება „რუსთავი 2-ს“ მიენიჭა, რის შესახებაც ამ ტელეკომპანიის წერილობითი განცხადება არსებობდა.

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით **ზურაბ ჭიაბერაშვილს** 20 000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა, **ივანე მერაბიშვილის მიმართ კი** პატიმრობა გამოიყენა.

სასამართლოს დასაბუთება: მერაბიშვილს აქვს დიდი უფლებამოსილება და ავტორიტეტი, რომელიც შეიძლება მან ბოროტად გამოიყენოს. მერაბიშვილმა შეიძლება გაანადგუროს ნივთიერი მტკიცებულებები და ზეწოლა მოახდინოს მოწმეებზე. გამოძიების მიერ დაკითხული მოწმეები მერაბიშვილის დაქვემდებარებაში მყოფი სუბიექტები არიან; ამდენად, დიდია იმის რისკი, რომ ისინი მერაბიშვილის გავლენის ქვეშ მოექცევიან და სწორ ჩვენებებს აღარ მისცემენ.

დამატებითი ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიების საკითხთან დაკავშირებით:

აღკვეთის ღონისძიების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, მალხაზ გურულმა, განიხილა. დაცვის მხარემ ეჭვი შეიტანა მალხაზ გურულის უფლებამოსილების და მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაში. მისი განცხადებით, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა არაუფლებამოსილმა მოსამართლემ შეუფარდა, ვინაიდან მალხაზ გურული სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრი იყო, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვის უფლება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის წევრს აქვს.

სწორედ ამ მოტივით დააყენა დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომაზე შუამდგომლობა მოსამართლისა და სასამართლოს მთლიანი შემადგენლობის აცილების შესახებ.

დაცვის მხარის განცხადებით, აცილებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ქუთაისის საქალაქო სასამართლო, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს სასამართლოები. დაცვის მხარემ მიიჩნია, რომ დასავლეთ საქართველოში იყო მხოლოდ ერთი სააპელაციო სასამართლო, მას კი

მალხაზ გურული თავმჯდომარეობდა; ვინაიდან დასავლეთ საქართველოს სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საჩივრდებოდა, ხოლო ამ სასამართლოს თავმჯდომარეს, მალხაზ გურულს, საქმის მიმართ გარკვეული ინტერესი ჰქონდა, იგი აუცილებლად სუბიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

განჩინება: შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, გაუქმებულიყო ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები (ივანე მერაბიშვილის შემთხვევაში – პატიმრობა, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილის შემთხვევაში – გირაო), ვინაიდან, კანონის[4] თანახმად, თანამდებობის პირის ან მთავრობის წევრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იუსტიციის მინისტრს უნდა დაეწყო. ადვოკატების განმარტებით, ვინაიდან წარდგენილი ბრალდება ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის თანამდებობებზე ყოფნის პერიოდს ეხებოდა, ორივე ბრალდებულისთვის ბრალი უნდა წაეყენებინა იუსტიციის მინისტრს და არა რიგით პროკურორს. დაცვის მხარემ ასევე აღნიშნა, რომ მერაბიშვილმა რამდენჯერმე დატოვა საქართველოს ტერიტორია, თუმცა ყველა შემთხვევაში უკან დაბრუნდა; ამდენად, მისი მიმალვის საფრთხე არ არსებობდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: კანონის შესაბამისი ნორმის თანახმად, ბრალდებულები გამოძიების დაწყებისას თანამდებობის პირები უნდა იყვნენ. დაკავების მომენტში ივანე მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი მინისტრები არ ყოფილან; ამდენად, მათთვის ბრალის წაყენების ვალდებულება იუსტიციის მინისტრს არ ეკისრებოდა. აქედან გამომდინარე, პროკურატურამ მიიჩნია, რომ ბრალდებულებს ბრალი კანონის დაცვით ჰქონდა წაყენებული.

განჩინება: შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა – ბრალდებულებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები არ გაუქმდა.

2. დაცვის მხარემ მოითხოვა, რომ ივანე მერაბიშვილის აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გირაოთი (20 000 ლარის ან სასამართლოს მიერ დადგენილი ოდენობით) ან ბრალდებულის მიერ პასპორტის გონივრული ვადით ჩაბარებით შეცვლილიყო.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურატურა არ დაეთანხმა შუამდგომლობას. მისი განცხადებით, ვინაიდან ივანე მერაბიშვილი დიდი გავლენით სარგებლობდა, პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში მას შეეძლო ხელი შეეშალა პროცესის მიმდინარეობისთვის და მოწმეებზე ზეწოლა მოეხდინა.

განჩინება: დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან მოსამართლემ მიიჩნია, რომ იგი სათანადოდ დასაბუთებული არ იყო.

3. დაცვის მხარემ მოითხოვა სხდომის გადადება იმ მოტივით, რომ მიმდინარე სხდომაზე დასაკითხ მოწმეთა სია მას წინა ღამეს გადაეცა. იმავე მიზეზით ივანე მერაბიშვილი პროცესზე არ გამოცხადდა.

[4] „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ მან მიმდინარე სხდომაზე დასაკითხ მოწმეთა სია დაცვის მხარეს გონივრული ვადის დაცვით მიაწოდა.

განჩინება: მოსამართლემ სხდომა გადადო და განმარტა, რომ იგი გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო და არა დაცვის მხარის მიერ დასახელებული მოტივით.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, არ დაკითხულიყვნენ ის მოწმეები, რომელთა შესახებ ინფორმაცია (კერძოდ, რა გარემოების დადასტურებას ან უარყოფას ემსახურებოდა მათი მოწმედ დაკითხვა) დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს არ გადასცა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ მან პროკურატურას შეატყობინა აღნიშნულ პირთა სახელები და გვარები, რაც სრულებით საკმარისი იყო; ამასთანავე, პროკურატურისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ პირთა მოწმედ დაკითხვის მიზანი, ვინაიდან ისინი მთავრობის წევრები იყვნენ.

განჩინება: ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.
2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის თაობაზე.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყვეტილიყო დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო.

განჩინება: შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – საქმე სასამართლოს არსებითად განსახილველად გადაეცა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

მოწმეთა ჩვენებები დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ეპიზოდზე:

დაიკითხნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლები, დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, კვარიათის აგარაკის მისაკუთრების საქმესთან დაკავშირებული პირები და სხვა.

პროკურატურის მოწმეებმა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის (5 მილიონზე მეტი ლარი) შესახებ ისაუბრეს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელმა, რომელიც ბრალდების მხარის მოწმედ დაიკითხა, განაცხადა, რომ მან ზურაბ ჭიაბერაშვილისგან მიიღო წერილი, რომლის მიხედვითაც, სამინისტროს უნდა შეემცირებინა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის თანხები და ისინი დასაქმების სახელმწიფო პროგრამაზე უნდა გადაეტანა.

მოწმეებმა განაცხადეს, რომ დასაქმებული პირების მოვალეობა იყო შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ბუკლეტების დარიგება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აგიტაცია-პროპაგანდა.

დასაქმებულმა პირებმა, რომლებიც მოწმის სახით იყვნენ სასამართლოში წარმოდგენილი, არ დაადასტურეს, რომ ისინი დავალებას უშუალოდ ივანე მერაბიშვილისგან ან ზურაბ ჭიაბერაშვილისგან იღებდნენ.

მოწმეთა ჩვენებები კვარიათის აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდზე:

კვარიათში არსებული აგარაკი კერძო პირს ეკუთვნოდა. მოწმედ დაიკითხა პირი, რომელიც აგარაკზე მძღოლად მუშაობდა. მისი განცხადებით, 2009 წლის მაისში ღამით 20–25 შეიარაღებული, ნიღბიანი კუდ-ის თანამშრომელი სახლში შეიჭრა. მათ იქ მყოფ პირებს განუცხადეს, რომ, მინისტრის (ივანე მერაბიშვილის) ბრძანების თანახმად, აგარაკი უნდა დაეტოვებინათ, და დაემუქრნენ კიდეც.

მოწმეთა ნაწილმა დაადასტურა, რომ თავად ხედავდნენ, როგორ ისვენებდნენ ჩამორთმეულ აგარაკზე ივანე მერაბიშვილი და მისი ოჯახი. ზოგიერთმა მოწმემ ირიბი ჩვენება მისცა და განაცხადა, რომ მათ უშუალოდ არ უნახავთ აგარაკზე ივანე მერაბიშვილი, თუმცა მეზობლებისგან რამდენჯერმე ჰქონდათ გაგონილი მისი იქ ყოფნის შესახებ.

სახლი მესაკუთრეს 2013 წლის მაისში დაუბრუნდა. დაზარალებულის განცხადებით, აგარაკის დაბრუნების შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ სახლს 15 000 ლარის ელექტროენერგიის დავალიანება ერიცხებოდა.

მოწმეთა ინფორმაციით, აგარაკის ჩამორთმევის დღიდან მესაკუთრისთვის მის დაბრუნებამდე სახლი და მიწის ნაკვეთი კუდ-ის ბალანსზე ირიცხებოდა და მას შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების დანაყოფი იცავდა.

ბრალდების მხარის მოწმედ დაიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. მისი განცხადებით, მინისტრ ივანე მერაბიშვილის დავალებით ის აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს დაუკავშირდა, რათა კონსულტაცია გაეწია აგარაკის რემონტთან დაკავშირებით. ადგილზე გაგზავნილ იქნენ სპეციალისტები რემონტისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. შედეგები აღნიშნულმა პირმა მინისტრს თავად მოახსენა. იმავე მოწმემ განაცხადა, რომ რემონტის თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაირიცხა. ამ ფაქტთან დაკავშირებით დახურულ სხდომაზე მოწმედ დაიკითხა აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი. პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ამ მოწმემ დაკითხვისას დაადასტურა ივანე მერაბიშვილისთვის ბრალად შერაცხული ფაქტობრივი გარემოებები და აჩვენა, რომ 2009 წლის მაისში მინისტრ ივანე მერაბიშვილის დავალებით დაიკავა კვარიათში მდებარე, კერძო საკუთრებაში არსებული აგარაკი. განცხადებაში ასევე მითითებული იყო, რომ აღნიშნული პირი მოწმედ დახურულ სხდომაზე დაცვის მხარის ინიციატივით დაიკითხა.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

მოწმეთა ჩვენებები დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ეპიზოდზე:

დაიკითხა დიმიტრი შაშკინი, რომელიც 2012 წლის 4 ივლისამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო 4 ივლისიდან 28 ოქტომბრამდე – თავდაცვის მინისტრი იყო. მისი

განცხადებით, აღნიშნული პროგრამა უმუშევართა აღრიცხვას ემსახურებოდა. შაშკინმა ძირითადად ამ პროგრამის დეტალებზე ისაუბრა.

დაცვის მხარის სხვა მოწმეებმა განაცხადეს, რომ დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ერთადერთი მიზანი იყო უმუშევართა აღრიცხვა, ერთიანი ბაზის შემუშავება და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა. მოწმეებმა უარყვეს ივანე მერაბიშვილის მიერ მათზე ზეწოლის განხორციელება.
დაცვის მხარის მოწმედ დაიკითხა ასევე ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელმაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის დაწყების აუცილებლობაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო დიდი გამოცდილებისა და სათანადო ინფრასტრუქტურის გამო შეირჩა. ზურაბ ჭიაბერაშვილმა რამაზ სულამანიძესთან (სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილი უფროსი) საუბარი გაიხსენა. ჭიაბერაშვილის თქმით, რამაზ სულამანიძემ მას პროკურატურაში ლაშა ნაცვლიშვილთან შეხვედრის შესახებ მოახსენა და უთხრა, რომ ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ განრიდებას სთავაზობდნენ. ჭიაბერაშვილის მტკიცებით, რამაზ სულამანიძემ მას განუცხადა, რომ თუ იგი პროკურატურისთვის სასურველ ჩვენებას მისცემდა, მის მიმართაც განრიდება იქნებოდა გამოყენებული.

შენიშვნა: რამაზ სულამანიძე საქმეზე მოწმედ დაიკითხა[5].

მოწმეთა ჩვენებები კვარიათის აგარაკის მისაკუთრების ეპიზოდზე:

დაცვის მხარის მოწმედ დაიკითხა თენგიზ გუნავა, რომელიც 2012 წელს ჯერ სამხარეო პოლიციის უფროსი, შემდეგ კი – შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსი იყო. მისი განცხადებით, ის რამდენჯერმე იმყოფებოდა კვარიათის აგარაკზე. გუნავას ინფორმაციით, ეს აგარაკი შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრება იყო, თუმცა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი მას არ უნახავს, აგარაკის რემონტისათვის დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია კი არ ჰქონდა. გუნავას მტკიცებით, აგარაკს შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარი თანამშრომლების დროებით დაბინავებისთვის იყენებდა და იგი არ იყო ივანე მერაბიშვილის პირად სარგებლობაში.

6. განაჩენი

ზურაბ ჭიაბერაშვილს ბრალდების კვალიფიკაცია (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) შეეცვალა. კერძოდ, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებაში და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 50 000 ლარის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი ორივე ზემოაღნიშნულ ეპიზოდში და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ასევე 1 წლითა და 6 თვით აეკრძალა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება.

7. ჩვენი დაკვირვება

აღსანიშნავია ივანე მერაბიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მისი ციხიდან გაყვანის შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოეხმაურა მერაბიშვილის განცხადებას, ვინაიდან აღნიშნულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტები აშკარად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. საგანგაშო იყო ასევე პროკურატურის მიერ პირველად გაკეთებული

[5] http://www.for.ge/view.php?for_id=29015&cat=3

განცხადება, რომ პროკურატურა არ აპირებდა ხსენებული საქმის გამოძიებას. ასეთი პოზიცია შემაშფოთებელია და ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს.
საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებიათ. მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ჩაატარა სამსახურებრივი მოკვლევა. თუმცა შიდა მოკვლევის ჩატარება არ ნიშნავს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესრულებას. ამ მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ივანე მერაბიშვილის მიერ განცხადების გაკეთების მომენტისათვის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები აღარ არსებობდა, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობაში არსებული ვიდეოსათვალთვალო ტექნიკური საშუალებები 24 საათის გასვლის შემდეგ ძველ ჩანაწერებს ავტომატურად შლის. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი გენერალური ინსპექციის მიერ დასკვნის გამოქვეყნებამდე აცხადებდა, რომ ვიდეოჩანაწერები 10 დღის ვადით ინახება, თუმცა მოგვიანებით მან ეს უარყო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ითვალისწინებს გამომძიებლისა და პროკურორის ვალდებულებას, რომ მათ მასმედიაში გამოქვეყნებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე დაიწყონ გამოძიება. ყოფილი პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების სიზუსტის გასარკვევად აუცილებელი იყო, დროულად ჩატარებულიყო ეფექტიანი გამოძიება, რომელიც პასუხებს გასცემდა საზოგადოებაში არსებულ კითხვებს. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების ადრესატი მთავარი პროკურორი იყო, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია საქმის ობიექტური გამოძიებისთვის და მიმდინარე პროცესი პოლიტიკური დავის ჭრილში არ მოექცია.

ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიერ მისი დამცველების აცილების საკითხის დაყენება, შემდეგ სხდომის დარბაზის დატოვება და მომდევნო პროცესზე სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება შეიძლება დაცვის მხარის მიერ პროცესის გაჭიანურების ცდად შეფასდეს.

აღსანიშნავია ასევე საქმის ქუთაისის სასამართლოში წარმოების საკითხიც, მაშინ როდესაც საქმეზე არსებული მოწმეების ძირითადი ნაწილი თბილისში ცხოვრობს, ასევე სავარაუდო დანაშაული თბილისშია ჩადენილი. მართალია აღნიშნულის შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შესაძლებლობის დაშვება კანონმდებლობის ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული და ამ მექანიზმის არაპროპორციულმა გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული ეჭვები წარმოშვას.

ივანე მერაბიშვილი, დავით ახალაია და სხვები (სანდრო გირგვლიანის ეპიზოდი)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ივანე მერაბიშვილი – სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა.

დავით ახალაია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი – სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი სიყალბის ჩადენა.

ოლეგ მელნიკოვი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

გერონტი ალანია, ვალერიან მეტრეველი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები – მოქალაქეებისათვის (ვ.ა და კ.დ) თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და აღნიშნულ პირთა მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა.

2. რით გამოიხატა ქმედება

2006 წლის იანვარში 28 წლის სანდრო გირგვლიანს კაფე „შარდენიდან“ გატაცების შემდეგ თბილისთან ახლოს, ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და მრავლობითი დაზიანებები მიაყენეს, რის შედეგადაც გირგვლიანი გარდაიცვალა.

ივანე მერაბიშვილმა პოლიტიკური/თანამდებობრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მიზნით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ დირექტორთან, დავით ახალაიასთან, და სხვა თანამდებობის პირებთან ერთად, პირადი მოტივით, წინასწარი განზრახვით დაფარა და შეცვალა სანდრო გირგვლიანის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გარემოებების შესახებ არსებული და მოპოვებული მონაცემები, რის შედეგადაც დანაშაულის შემკვეთებმა და თანაამსრულებლებმა თავიდან აიცილეს ადეკვატური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მერაბიშვილისა და სხვა თანამდებობის პირთა შეთანხმებული ქმედებებით განხორციელდა სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ინსცენირება, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, დანაშაულის ჩამდენი უფრო მაღალი თანამდებობის პირების, მათთან შეხების მქონე შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის და დანაშაულში მისი შესაძლო მონაწილეობის დაფარვა და, მეორე მხრივ, გ. ალანიას, ა. აფციაურის, ალ. ღაჯავას და მ. ბიბილურიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ მათი ჩადენილზე უფრო მსუბუქი დანაშაულისათვის მსჯავრდება (აღნიშნულ პირებთან შეთანხმდა მოსალოდნელი სასჯელის ვადა და მისი მოხდის პირობები).

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

დაცვის მხარემ სადავოდ გახადა ივანე მერაბიშვილის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აღნიშნული დანაშაულის ჩადენის პერიოდში მოქმედებდა, 7 წელს შეადგენდა; ამდენად,

მერაბიშვილისათვის ბრალის წაყენების მომენტისათვის ეს ვადა უკვე გასული იყო; ამიტომ დაცვის მხარე საქმის არსებითად განსახილველად დატოვებას ითხოვდა.

ბრალდების მხარის განცხადებით, ივანე მერაბიშვილის შემთხვევაზე უნდა გავრცელებულიყო 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც იმ დროს დადგინდა, როდესაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის 7-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდების მხარის მოთხოვნა: პროკურატურამ ივანე მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ივანე მერაბიშვილს პატიმრობა სხვა საქმეზე ორჯერ ჰქონდა შეფარდებული; ამიტომ აღკვეთის ღონისძიების სახით მისი კიდევ ერთხელ გამოყენების საფუძველი არ არსებობდა.

სასამართლოს განჩინება: სასამართლომ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ გამოიყენა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა. მოსამართლეს სხდომის დარბაზში საკუთარი გადაწყვეტილება არ დაუსაბუთებია.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმის არსებითად განხილვის გარეშე შეწყვეტის შესახებ. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ბრალდებულ ივანე მერაბიშვილს დანაშაულად ერაცხებოდა ქმედება, რომელიც მან 2006 წლის მარტამდე ჩაიდინა; ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით[6] დადგენილი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისს შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც ივანე მერაბიშვილისთვის წაყენებული ბრალით გათვალისწინებული დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა 7 წლიდან 15 წლამდე გაიზარდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურატურის განცხადებით, ივანე მერაბიშვილის შემთხვევაზე 7-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ნაცვლად უნდა გავრცელებულიყო 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქციით დადგინდა. ვინაიდან 15-წლიანი ხანდაზმულობის ვადის შესახებ საკანონმდებლო ცვლილება 2006 წლის 25 ივლისს იქნა მიღებული და იმავე წლის 7 აგვისტოს ამოქმედდა, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის პერიოდში კვლავ 7-წლიანი ხანდაზმულობის ვადა მიმდინარეობდა.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა შემდეგი: მართალია, თუ კანონი ამკაცრებს სასჯელს ან აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ამ კანონს უკუძალა არ ენიჭება, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი, რომელზედაც დაცვის მხარე უთითებდა, არც ქმედების დანაშაულებრიობას აწესებს და არც სასჯელს ამკაცრებს; ამდენად, დევნის ამ მოტივით შეწყვეტის საფუძველი არ არსებობს. მაშინ, როდესაც სისხლის

[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლი.

სამართლის კოდექსში ცვლილება იქნა შეტანილი, მოქმედი კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა ამოწურული არ იყო; ამიტომ დევნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით ვერ შეწყდება.

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა იმ მოწმეთა დაკითხვის ოქმების დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომლებიც ღამის საათებში დაიკითხნენ. დაცვის მხარის განმარტებით, დაკითხვა კანონის დარღვევით ჩატარდა, ვინაიდან ღამის საათებში დაკითხვა მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის დროს არის შესაძლებელი, ასეთი აუცილებლობა კი არ ყოფილა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მოწმეები ღამის საათებში მათივე სურვილით დაიკითხნენ.

განჩინება: მოსამართლემ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და შუამდგომლობა დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული იმ მოწმეთა დაკითხვის ოქმები, რომლებიც ღამის საათებში დაიკითხნენ.

3. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი რუსულენოვანი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ რუსულენოვანი მტკიცებულება (დოკუმენტი) უნდა დართოდა საქმეს, ვინაიდან მას თან ახლდა ქართული თარგმანი, რომელიც ავთენტიკური იყო.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განმარტა, რომ, ვინაიდან სამართალწარმოება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მტკიცებულებებიც ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

4. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მტკიცებულებათა ნუსხიდან ამორიცხვის თაობაზე, ვინაიდან მას ხელს არ აწერდნენ ექსპერიმენტის დამსწრე პირები.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ექსპერიმენტი კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით ჩატარდა.

განჩინება: სასამართლომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი უკანონოდ მიიჩნია, დაუშვებლად ცნო და განმარტა, რომ ოქმზე დამსწრე პირის ხელმოწერა კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო რეკვიზიტია, მისი არქონის შემთხვევაში კი ოქმის მტკიცებულებად მიღება დაუშვებელია.

5. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა იმ მოწმეთა დაკითხვის ოქმის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომლებიც კანონით დადგენილი 4-საათიანი ვადის გადაცილებით დაიკითხნენ. დაცვის მხარემ ასევე მოითხოვა იმ მოწმეთა დაკითხვის ოქმების დაუშვებლად ცნობა, რომელთა დაკითხვაც დღის საათებში დაიწყო და ღამის საათებში გაგრძელდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურატურამ განაცხადა, რომ არცერთი მოწმის დაკითხვა არ გადასცილებია 4 საათს, დაკითხვა ყოველთვის უფრო ადრე მთავრდებოდა, მაგრამ შემდეგ მოწმე თავისივე ჩვენებას კითხულობდა და დრო ამაში იკარგებოდა.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ დაკითხვის ვადა მცირე ხნით იქნა გადაცილებული, რაც შეიძლებოდა გარკვეული აუცილებლობით ყოფილიყო განპირობებული. დაცვის მხარეს მეორე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზედაც იმავე მოტივით ეთქვა უარი.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდების მხარემ რუსულენოვანი მტკიცებულების (დოკუმენტი) ქართული თარგმანი წარმოადგინა.

განჩინება: სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება არ დაუშვა, რადგან მისი წარმოდგენა დაგვიანებულად მიიჩნია. დასაბუთებაში სასამართლომ მიუთითა, რომ დოკუმენტი შეტანილი იყო მტკიცებულებათა ნუსხაში, ე. ი. თავიდანვე არსებობდა მისი თარგმნისა და წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე დაცვის მხარისათვის გადაცემის შესაძლებლობა, რაც ბრალდების მხარემ არ გააკეთა; ამდენად, იმ ეტაპზე, როდესაც ბრალდების მხარემ დოკუმენტის დაშვება მოითხოვა, მისი მტკიცებულებად მიღება არ შეიძლებოდა.

2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართოდა დავით ახალაიას, ოლეგ მელნიკოვის და გერონტი ალანიას მიმართ სხვა საქმეზე გამოტანილი განაჩენები, რომლებიც ბრალდებულთა პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრას უზრუნველყოფდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ აღნიშნული განაჩენები კანონიერ ძალაში არ იყო შესული, ვინაიდან მითითებული საქმე სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა გადაგზავნილი.

განჩინება: შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – განაჩენები დაერთო საქმეს.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

მოწმეთა მიერ ჩვენებების მიცემა არ დაწყებულა.

6. განაჩენი

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ გამოტანილა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობას ხელყოფდა, არ გამოვლენილა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ, წარმოედგინათ არგუმენტები და მტკიცებულებები, განეხორციელებინათ საპროცესო მოქმედებები და დაეცვათ საკუთარი ინტერესები.

პროცესზე დაფიქსირდა ზოგიერთი ფაქტი, რომლებიც სასამართლომ პროცედურული წესის დარღვევად შეაფასა. კერძოდ, სასამართლომ საქმეს მტკიცებულებად არ დაურთო იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ღამის საათებში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაიკითხნენ, ვინაიდან ეს კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული. სასამართლომ ასევე დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მიერ პროცესზე წარმოდგენილი რუსულენოვანი დოკუმენტი. ყოველივე ეს

ბრალდების მხარის საქმიანობის გარკვეულ ხარვეზზე მიუთითებს, თუმცა ეს ხარვეზი მნიშვნელოვან დარღვევად ვერ იქნება მიჩნეული.

გიორგი (გიგი) უგულავა და დავით კეზერაშვილი

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიორგი (გიგი) უგულავა, ქ. თბილისის ყოფილი მერი – განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება, სხვისი ქონების მითვისება.

დავით კეზერაშვილი, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი – განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზება, სხვისი ქონების მითვისება.

2. რით გამოიხატა ქმედება

2008 წელს შპს „ტელეიმედის“ საკონტროლო წილის მფლობელი იყო ჯოზეფ ქეი, რომელსაც ტელეკომპანიის ფუნქციონირებისათვის 10 000 000 აშშ დოლარი ჰქონდა დახარჯული. ბრალდების მხარის მტკიცებით, ჯოზეფ ქეის ხელისუფლების სახელით შეხვდა დავით კეზერაშვილი, რომელმაც იგი მუქარით დაიყოლია „ტელეიმედის“ დათმობაზე, ამასთანავე, პირობა მისცა, რომ მას გაწეულ ხარჯებს (10 000 000 აშშ დოლარს) გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა.

ბრალდების თანახმად, გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი დავით კეზერაშვილის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“-ს გადასცა. ამის შემდეგ გიორგი უგულავა მოელაპარაკა შპს „ახალი რიყის“ მესაკუთრეებს, რომ მათ მიერ 2006 წელს 7 000 000 აშშ დოლარად შეძენილ რიყის ტერიტორიას თბილისის მერია ვითომ 17 000 000 აშშ დოლარად გამოისყიდდა; სწორედ ამ თანხიდან 10 000 000 აშშ დოლარი უნდა გადასცემოდა ჯოზეფ ქეის. ქალაქის მერიამ 2008 წლის 29 დეკემბერს ქ. თბილისის მთავრობის სახელით გამოსცა დადგენილება, რომლის საფუძველზედაც თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდიდან“ რიყის ტერიტორიის გამოსასყიდად შპს „ახალ რიყეს“ 17 000 000 აშშ დოლარი გადაერიცხა. ამის შემდეგ შპს „ახალი რიყის“ ხელმძღვანელობასა და ჯოზეფ ქეის კომპანია „Lakebrow Limited“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზედაც შპს „ახალი რიყის“ საბანკო ანგარიშიდან ჯოზეფ ქეის კომპანიას 8 811 189 აშშ დოლარი ჩაერიცხა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე გამოძიებამ დაასკვნა, რომ ტელეკომპანია „იმედი“ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისების და შემდგომ გათეთრების გზით იქნა მისაკუთრებული.

მოცემულ საქმეში დავით კეზერაშვილის მონაწილეობა შემდეგში გამოიხატა: დავით კეზერაშვილი ხელისუფლების სახელით შეხვდა ჯოზეფ ქეის, მუქარით დაიყოლია იგი „ტელეიმედის“ დათმობაზე და პირობა მისცა, რომ მას გაწეულ ხარჯებს (10 000 000 აშშ დოლარს) გიორგი უგულავა აუნაზღაურებდა. გიორგი უგულავას მითითებით ჯოზეფ ქეიმ თავისი წილი დავით კეზერაშვილის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ, პანამაში რეგისტრირებულ კომპანია „Bordex Limited“-ს გადასცა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

სხდომის გახსნისთანავე მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს, დაუკავშირდა თუ არა იგი მის სხდომის მდივანსა და თანაშემწეს და, თუ დაელაპარაკა, რით დაინტერესდა. პროკურორმა აღნიშნა, რომ იგი ნამდვილად დაუკავშირდა მათ, რათა სხდომის თარიღი შეეტყო. მოსამართლემ მოახსენა პროკურორს, რომ ამ ზარის შესახებ მან გაიგო თავისი სხდომის

მდივნისა და თანაშემწისაგან, რომლებმაც უთხრეს, რომ პროკურორი მოსამართლის მივლინებით დაინტერესდა. პროკურორმა უარყო ასეთი დაინტერესება. მოსამართლემ განმარტა, რომ იგი აუცილებლად ჩამოართმევდა დამატებით განმარტებას სხდომის მდივანსა და თანაშემწეს და მათგან მიღებულ ინფორმაციას მთავარ პროკურორს და მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციას მიაწვდიდა.

აღსანიშნავია ასევე ბრალდების მხარის მოწმე, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა. ამ ფაქტის შესახებ დაცვის მხარემ განაცხადა. მან ეჭვი შეიტანა მითითებული მოწმის სანდოობაში და დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერების ოქმი, რომელზედაც განთავსებული იყო ინფორმაცია მოწმე გ. მ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის შესახებ.

4. აღკვეთის ღონისძიება

1. პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა გიორგი (გიგი) უგულავასთვის გირაოს სახით 1 000 000 ლარის შეფარდების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება არ იკვეთებოდა, რადგან ბრალდებულმა გიორგი (გიგი) უგულავამ ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე დატოვა ქვეყნის ტერიტორია, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, საქართველოში დაბრუნდა, ამასთანავე, იგი გამოძიებასთანაც თანამშრომლობდა.

2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა თბილისის მერისთვის საქართველოს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის შესახებ. მან ასევე მოითხოვა, გიორგი (გიგი) უგულავას საგამოძიებო უწყებაში ყოველკვირეული გამოცხადების ვალდებულება დაკისრებოდა.

განჩინება: შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა. გიორგი (გიგი) უგულავას მიმართ აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ იქნა გამოყენებული.

3. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა გიორგი (გიგი) უგულავას თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

განჩინება: სასამართლოს განჩინებით ბრალდების მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს განმარტებით, გიორგი (გიგი) უგულავა არ იქნა გადაყენებული თანამდებობიდან იმის გამო, რომ ბრალდების მხარის მიერ შუამდგომლობაში მითითებული თბილისის მერის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლები ზოგადი და დაუსაბუთებელი იყო.

4. პროკურატურამ დავით კეზერაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. ვინაიდან ბრალდებული პროცესზე არ გამოცხადდა, არსებობდა ეჭვი, რომ იგი ემალებოდა სასამართლოს.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ დავით კეზერაშვილისთვის გირაოს შეფარდება მოითხოვა. მისი მტკიცებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

განჩინება: დავით კეზერაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერების ოქმი და მოძიებული სტატია, რომელიც მოწმე გ. მ.-ის მიმართ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას ეხებოდა. ამით დაცვის მხარე ამ მოწმის სანდოობაში ეჭვის შეტანას ცდილობდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან, როგორც პროკურატურის წარმომადგენლებმა განმარტეს, დაცვის მხარისთვის პროცესამდე 2 დღით ადრე იყო ცნობილი, რომ მოწმე გ. მ. უნდა დაკითხულიყო.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განმარტა: „ის, რომ პირი ბრალდებულია, არ ნიშნავს, რომ იგი დამნაშავეა. ეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა. თუმცა, რადგან ობიექტურად შეუძლებელი იყო არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარმოდგენა, დარღვევა არ გვაქვს და მტკიცებულება შესაძლებელია დაერთოს საქმეს. ის, რომ გ.მ ციხეში იყო, არ ნიშნავს, რომ მისი ჩვენება არასანდოა. დათვალიერების ოქმი მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას არ ადასტურებს, ამიტომ პრობლემას ვერ ვხედავ მის მტკიცებულებად დართვაზე. **სასამართლო დაურთავს დამატებით მტკიცებულებას** საქმეს და სხვა მტკიცებულებებთან კავშირში შეაფასებს საქმის გარემოებას და მოწმეთა სანდოობის საკითხს.“

2. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს დართოდა საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილება დავით კეზერაშვილის ექსტრადიციაზე უარის თქმის შესახებ.

განჩინება: შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

3. დაცვის მხარემ ეჭვი შეიტანა მოწმე გ. მ.-ის ჩვენების სანდოობაში და დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერების ოქმი, რომელზედაც განთავსებული იყო ინფორმაცია თანხების მითვისების გამო ამ მოწმის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის შესახებ.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ დაცვის მხარეს მოწმის დაკითხვამდეც შეეძლო მისი დაყენება.

განჩინება: შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. ბრალდების მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა დავით კეზერაშვილის საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ. ბრალდების მხარის მტკიცებით, ეს აუცილებელი იყო საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისთვის და ბრალდებულის უფლებების დაცვისთვის.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ შუამდგომლობა უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია. მან განაცხადა, რომ პროცესზე დასწრება ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება; დავით კეზერაშვილმა თავად თქვა უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, რაც არ შეიძლებოდა ბრალდებულის უფლების დარღვევად ყოფილიყო აღქმული.

განჩინება: სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. სასამართლოს განმარტებით, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა სათანადო არგუმენტები, რატომ უნდა გამოეწვია გიორგი (გიგი) უგულავას და დავით კეზერაშვილის საქმეების ერთობლივ განხილვას პროცესის გაჭიანურება.

2. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა, საქმეს დართოდა საფრანგეთის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია), რომლითაც დასტურდებოდა, რომ დავით კეზერაშვილი საფრანგეთში იყო და პატიმრობაში იმყოფებოდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ თანხმობა განაცხადა საქმისთვის აღნიშნული დოკუმენტაციის დართვაზე.

განჩინება: სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და აღნიშნული ინფორმაცია დაურთო საქმეს.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

როგორც საქმიდან ირკვევა, შპს „ახალმა რიყემ“ რიყის ტერიტორია 2006 წელს შეიძინა. ამასთან დაკავშირებით დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც მონაწილეობდნენ თბილისის მერიაში გამართულ იმ სხდომაში, რომელზედაც უნდა გადაწყვეტილიყო, ორი კომპანიიდან (მათგან ერთ-ერთი შპს „ახალი რიყე“ იყო) რომელს გადაეცემოდა რიყის ტერიტორია. აღნიშნულმა მოწმეებმა განაცხადეს, რომ, მათი ინფორმაციით, კომპანია „ახალმა რიყემ“ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი წარმოადგინა. მოწმეებმა ხმის მიცემის დრო გაიხსენეს და დაადასტურეს, რომ ხმა შპს „ახალი რიყის“ სასარგებლოდ მისცეს. მოწმეების განცხადებით, ისინი პირადად არ იცნობდნენ დავით კეზერაშვილს და გიორგი (გიგი) უგულავას და არც რაიმე კავშირი ჰქონიათ მათთან. მოწმეთა ნაწილის თქმით, შპს „ახალ რიყეს“ სრულად ჰქონდა დოკუმენტაცია წარმოდგენილი, ზოგიერთმა მოწმემ კი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაცია ვერ გაიხსენა. მოწმეები ძირითადად იმას ადასტურებდნენ, რომ იყო ორი კომპანია, რომელთაგან შპს „ახალი რიყე“ შეირჩა.

დაიკითხა ასევე ექსპერტი, რომელიც რიყის ტერიტორიის ფასის დადგენაზე მუშაობდა. პროცესზე მას ჰკითხეს, რატომ გაიზარდა ფასი 7 000 000 აშშ დოლარიდან 17 000 000 აშშ დოლარამდე და იყო თუ არა ეს გამოწვეული 2008 წლის ომით. ექსპერტმა განაცხადა, რომ ფასებს შორის დიდი სხვაობის მიზეზი მისთვის უცნობია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა, რომელიც მოწმედ დაიკითხა, განაცხადა, რომ 2006 წელს გამოცხადებულ კონკურსში, რომლის პირობებითაც გამარჯვებულს რიყის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განხორციელების და 1-წლიანი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრებოდა, გაიმარჯვა შპს „ახალმა რიყემ“, რომელმაც რიყის ტერიტორია 7 000 000 აშშ დოლარად შეიძინა, თუმცა მას არცერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. 2008 წლის დეკემბერში ქალაქის მერიამ რიყის ტერიტორია 17 000 000 აშშ

დოლარად გამოისყიდა. თანხა თბილისის მერიის მიერ დაფუძნებულ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდში“ გადაირიცხა. ტერიტორიის გამოსყიდვის ფასი აშკარად შეუსაბამო იყო და სწორედ ამიტომ გადაწყდა მისი კანონიერების გამოკვლევა.

დაიკითხა მოწმე გ. მ., რომელმაც 2006 წელს ტელეკომპანია „იმედის“ 15%-იანი წილი შეიძინა. მოწმის განცხადებით, მას პირადად ივანე მერაბიშვილი დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა. შეხვედრაზე გიორგი არველაძეც იმყოფებოდა. მოწმეს უთხრეს, რომ „იმედის“ 15%-იანი წილი აუცილებლად უნდა შეეძინა, და დაემუქრნენ კიდეც. მოწმემ განაცხადა, რომ მას არ სურდა „იმედის“ წილის შეძენა და ნასყიდობის ხელშეკრულება ფიქციური იყო. მოწმის განმარტებით, იგი იმიტომ შეირჩა, რომ „არაცნობადი“ სახე იყო და საზოგადოებას ნაკლები ეჭვი გაუჩნდებოდა. ერთი წლის შემდეგ მან „იმედის“ წილი დათმო.

ბრალდების მხარის მოწმედ დაიკითხა ასევე „რაკიინ დეველოპმენტის“ გენერალური დირექტორი, გ. მ.. აღსანიშნავია, რომ ეს პირი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, თავად იყო ბრალდებული დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე.

მოწმე გ. მ.-მ გაიხსენა პრესკონფერენცია, რომელზედაც ჯოზეფ ქეიმ მარკ მონემის მიერ ტელეკომპანია „იმედის“ საკონტროლო პაკეტის შეძენის თაობაზე განაცხადა. მოწმის თქმით, მარკ მონემი გიორგი (გიგი) უგულავამ იმიტომ შეარჩია, რომ იგი უცხოელი იყო და მის მიერ „იმედის“ შეძენის შემთხვევაში შეიძლებოდა ტელეკომპანიის შესყიდვით სხვა უცხოელებიც დაინტერესებულიყვნენ.
დაცვის მხარემ აღნიშნული მოწმის სანდოობაში ეჭვი შეიტანა და დააყენა შუამდგომლობა, საქმეს მტკიცებულებად დართოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის დათვალიერების ოქმი, რომელზედაც განთავსებული იყო ინფორმაცია თანხების მითვისების გამო მოწმე გ. მ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის შესახებ. როგორც გაირკვა, ეს მოწმე სხვა საქმეში თავად იყო ბრალდებული. დაცვის მხარის განცხადებით, ეს აშკარად საეჭვოს ხდიდა მოწმის სანდოობას.

დაიკითხა ასევე თბილისის ყოფილი ვიცე-მერი, რომელიც თბილისის მერიაში გამართულ ზემოაღნიშნულ სხდომას თავმჯდომარეობდა. მისი განცხადებით, კონკურსი გაზეთ „24 საათში“ გამოცხადდა და მასში შპს „ახალმა რიყემ“ გაიმარჯვა. მოწმის თქმით, მათ ყველაფერი კანონიერად გააკეთეს, რადგან საქართველოს მთავრობის ნებართვაც არსებობდა.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

მიმდინარეობს ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა. დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა არ დაწყებულა.

6. განაჩენი

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, მოწმეთა დაკითხვა. საქმეზე განაჩენი არ გამოტანილა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესზე მხარეთა უფლებების შეზღუდვის შემთხვევები არ დაფიქსირებულა. პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლემ მის თანაშემწესთან პროკურორის კომუნიკაციის შესახებ

განაცხადა. ეს საინტერესო ინფორმაციაა. აუცილებელია, შესაბამისმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ მას და უზრუნველყონ კანონით დადგენილი ზომების მიღება.

პროცესზე გამოიკვეთა ერთ-ერთი მთავარი მოწმე, რომელიც, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, თავად იყო ბრალდებული დიდი ოდენობით თანხის მითვისების ფაქტზე. ასეთი შემთხვევა რამდენიმე საქმეზე დაფიქსირდა. ამგვარი ფაქტები მოწმეთა სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარის პოზიცია მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე არ ყოფილა დაფუძნებული. წარმოდგენილი იყო მრავალი დოკუმენტი და ფინანსური ინფორმაცია.

გიორგი (გიგი) უგულავა და სხვები („თბილისის განვითარების ფონდის“ საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

გიორგი (გიგი) უგულავა – უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, მომხმარებლის მოტყუება.

ალექსი თავბუაშვილი, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი – დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

დავით ავალიანი, ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა.

დიმიტრი ჩხეიძე, ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე – თანამონაწილე, სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა.

დავით ალავიძე, თბილისის მერის ყოფილი მოადგილე – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა.

გიორგი საბანაძე, „თბილისის განვითარების ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი – სხვისი ქონების მითვისება ან გაფლანგვა.

2. რით გამოიხატა ქმედება

პროკურატურამ განაცხადა, რომ გიგი უგულავამ სხვა ბრალდებულებთან ერთად შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა, რომლითაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად თბილისის რეაბილიტაციისათვის შექმნილი „თბილისის განვითარების ფონდის“ თანხები (48 180 460 ლარი) გაფლანგა. 2011 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე 100 000 ლარი „ლიბერთი ბანკში“ „თბილისის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე დაირიცხა.

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა ასევე დაამზადეს პლასტიკური ბარათები, რომლებზედაც თითქოს მომსახურების გამწევ პირთა ხელფასები უნდა ჩარიცხულიყო. ბარათები რეალურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისთვის იყო გამიზნული. ამ ბარათებით თანხის გამოტანა წინასწარ შერჩეულ პირთა თანდასწრებით ხდებოდა.

პროკურატურის მტკიცებით, პლასტიკური ბარათებით თითოეულმა პირმა 40 000 ლარის ოდენობის თანხა გამოიტანა. შეიქმნა იმის საფრთხე, რომ საგადასახადო ორგანო ამ თანხას დაბეგრავდა. პრობლემის გადასაჭრელად უგულავას ბრძანებით გადაწყდა, რომ თანხებს, საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის ნაცვლად, ნაღდი ფულის სახით ხელზე აიღებდნენ.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

პროკურატურამ საქმეზე მტკიცებულებად გიგი უგულავას და მის შვილს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი წარმოადგინა. აღნიშნული ქმედება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც კერძო საუბარს შეხება არ აქვს მიმდინარე საქმესთან, ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს

კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს. ასეთი ქმედება არის პირადი ცხოვრების უფლების უხეში შელახვა და საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დარღვევა. მოსამართლემ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. მან საკუთარ დასაბუთებაში სწორედ ზემოხსენებულ გარემოებებზე მიუთითა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 21 დეკემბერს არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა დედაქალაქის მერისთვის, გიგი უგულავასთვის, წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე და მას 50 000 ლარის ოდენობის გირაოს გადახდა დააკისრა. მოგვიანებით, 22 დეკემბერს, გვიან ღამით სასამართლომ გიგი უგულავას თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია ასეთი შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, საქმე პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერს ეხებოდა და ამ განჩინების გამოტანამდე რამდენიმე საათით ადრე იმავე მოსამართლემ მხარეთა თანდასწრებით განიხილა პროკურატურის სხვა შუამდგომლობა, უმჯობესი იქნებოდა, მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობაც მხარეთა თანდასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს ემყარება. მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოსამართლემ ნებისმიერი საქმის განხილვისას ამ პრინციპით იხელმძღვანელოს.

2014 წლის 23 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გიგი უგულავას მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილება გამოიტანა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული პირების თანამდებობიდან გადაყენებას და ამავე კოდექსის 160-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება, რომელიც უშვებს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ხალხის მიერ არჩეული თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერება ან შეწყვეტა, იმავდროულად, გულისხმობს ხალხის მანდატის შეჩერებას ან შეწყვეტას და წარმოადგენს თვითმმართველობის ავტონომიაში ერთ-ერთ ყველაზე უხეშ ჩარევას.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თანამდებობიდან გადაყენების შესახებ განჩინების პერიოდული გადასინჯვის ან გაუქმების შესაძლებლობას იმ შემთხვევაშიც, თუ გადაყენების მიზანი – თანამდებობის პირის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე აღარ იარსებებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე პირის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის კონსტიტუციური უფლებების არათანაზომიერ შეზღუდვას წარმოადგენს. თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვა საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების შესწავლას, მატერიალური და საპროცესო საკითხების შეფასებას. კანონმდებლობა არ უნდა უშვებდეს იმის შესაძლებლობას, რომ ამგვარი გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღოს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის

საფუძველზე, მეორე მხარისათვის შეტყობინების და მისთვის დაცვის შესაძლებლობის მინიჭების გარეშე. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბრალდებულის უფლება, სასამართლოს წინაშე წარადგინოს საკუთარი პოზიცია და დაიცვას თავი უშუალოდ ან/და წარმომადგენლის მეშვეობით, რაც შეამცირებს სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების რისკს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მხარეთა შეჯიბრებითობისა და, შესაბამისად, პირის სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების დაცვა.

ერთ-ერთი სხდომის დაწყების წინ გიგი უგულავამ გააკეთა განცხადება[7] იმის შესახებ, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეზე გარკვეული პირები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამჟამინდელი და ყოფილი თანამშრომლები, ზეწოლას ახდენდნენ. მან ეს პირები კონკრეტულად დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ რ. ს. გარდა მოცემული საქმისა, მოწმედ ფიგურირებდა ასევე ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეში, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა.

გიგი უგულავამ რამდენიმე პოლიტიკური განცხადება გააკეთა, ასევე განაცხადა სასამართლოზე ზეწოლის განხორციელების შესახებ. მოსამართლემ მას რამდენჯერმე მისცა შენიშვნა.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ გამოძიებისას გარკვეული მტკიცებულებების პოვნა ვერ მოხერხდა; ამიტომ არსებობდა ეჭვი, რომ ეს მტკიცებულებები ბრალდებულებმა გადამალეს და გაანადგურეს. პროკურატურის წარმომადგენლებმა ასევე განმარტეს, რომ გიგი უგულავა მაღალი თანამდებობის პირებს ხელმძღვანელობდა და მოწმეთა უმრავლესობა სწორედ მისი თანამშრომლები იყვნენ; ამდენად, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი იყო. ეს იქნებოდა ერთადერთი გარანტია, რომ მოწმეებზე ზეწოლა არ მოხდებოდა. პროკურატურის წარმომადგენლებმა გიგი უგულავას მიმალვის რისკზედაც ისაუბრეს და ამ რისკის დამადასტურებლად მოიყვანეს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტი, რომლის გამოც უგულავა პროკურატურაში დასაკითხად რამდენჯერმე იყო დაბარებული, თუმცა შეგნებულად არ გამოცხადდა.

დაცვის მხარის პოზიცია: პროკურატურის არგუმენტის საპასუხოდ დაცვის მხარემ განაცხადა, რომ გიგი უგულავამ 10-ჯერ მაინც გადაკვეთა საქართველოს საზღვარი მას შემდეგ, რაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ გიგი უგულავა ყოველთვის ცხადდებოდა პროცესებზე, თანამშრომლობდა გამოძიებასთან და არასდროს უცდია მიმალვა. დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების სახით **პირადი თავდებობის გამოყენება მოითხოვა**, პირად თავდებად კი სასამართლოს **დავით ბაქრაძის**, **დავით საყვარელიძის** და **გიორგი ვაშაძის** კანდიდატურები შესთავაზა.

განჩინება: ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით **პატიმრობის** გამოყენების შესახებ **არ დაკმაყოფილდა**; დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით **პირადი თავდებობის** გამოყენების თაობაზე **არ დაკმაყოფილდა**; აღკვეთის ღონისძიების სახით გიგი უგულავას **50 000 ლარის** ოდენობის **გირაო** შეეფარდა.

[7] http://politico.ge/index.php/news/view/9187

მოგვიანებით სასამართლომ გიგი უგულავას პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შეუჩერა მერის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება სხდომაზე მხარეთა მოწვევის გარეშე იქნა მიღებული.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, რამდენიმე მოწმის ჩვენებები დაუშვებელ მტკიცებულებებად ყოფილიყო ცნობილი, ვინაიდან დაკითხვის დროს მათ არ მიეცათ ადვოკატის ყოლის უფლება, დაკითხვის ოქმები კი ფორმალურად შედგა; მოგვიანებით (საღამოს) ალექსი თავბუაშვილი და დიმიტრი ჩხეიძე კვლავ დაიბარეს დაკითხვაზე. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ეს კანონის დარღვევა იყო. აღნიშნული პირები პროკურატურაში გამოცხადებისთანავე დააკავეს და ბრალდებულად ცნეს, მათი უფლებები კი არ გაუცვნიათ.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ალექსი თავბუაშვილი მოწმედ დაიკითხა და მის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება დაუშვებლად არ უნდა იქნეს ცნობილი, რადგან მისი უფლებები არ დარღვეულა, რასაც დაკითხვის ოქმზე მისივე ხელმოწერა ადასტურებს. ბრალდების მხარემ აღნიშნა, რომ პროკურატურაში მიყვანამდე მას არ ჰქონია ბრალდებულის სტატუსი.

განჩინება: შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოსამართლემ მხოლოდ ალექსი თავბუაშვილის და დიმიტრი ჩხეიძის ჩვენებები ცნო დაუშვებელ მტკიცებულებებად, ვინაიდან მანამდე რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი; სწორედ იმ დროიდან შეიძინეს მათ ბრალდებულის სტატუსი; ამდენად, ამ პირებს დაკითხვისას არა მოწმის, არამედ ბრალდებულის უფლებებით უნდა ესარგებლათ.

2. კანონის[8] თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს მის მაკომპრომეტირებელ ცნობებს, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით ამ პირის წინააღმდეგ. კანონის შესაბამისი ნორმის საფუძველზე დაცვის მხარემ გიგი უგულავას საკუთარ არასრულწლოვან შვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა მოითხოვა. დაცვის მხარის განცხადებით, სატელეფონო საუბრის შინაარსს საქმესთან კავშირი არ ჰქონდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. მისი მტკიცებით, სატელეფონო საუბრებით დგინდება, რომ გიგი უგულავა სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემდეგაც აგრძელებდა საქმიანობას; ეს საუბრები ფონდებთან დაკავშირებულ საკითხებსაც ეხება.

განჩინება: სასამართლოს გადაწყვეტილებით ზოგიერთი სატელეფონო საუბრის, მათ შორის, გიგი უგულავას შვილთან საუბრის, ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად იქნა ცნობილი. სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ჩანაწერები უკანონოდ იყო მოპოვებული და მათ საქმესთან კავშირი არ ჰქონდა.

[8] იხ. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. პროკურატურამ ბრალდებულების, ზურაბ ადეიშვილის და გიორგი საბანაძის, გამოკითხვის ოქმების[9], გამოკითხვის ამსახველი ვიდეომასალის და დათვალიერების ოქმის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა. მისი განცხადებით, ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, განეხორციელებინა რაიმე საპროცესო მოქმედება საქართველოს ფარგლების გარეთ, რადგან, კანონის თანახმად, ჯერ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობა იუსტიციის მინისტრს უნდა წარედგინოს და შემდეგ უნდა ჩატარდეს საპროცესო მოქმედება. ამდენად, ბრალდების მხარე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ოქმები და ვიდეომასალა უკანონოდ იყო მოპოვებული. ამასთანავე, მან მიუთითა, რომ გაურკვეველი იყო, როგორ მოახერხა დაცვის მხარემ ძებნილ ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირება, როდესაც გამოკითხვის ოქმზე არ იყო მითითებული მისამართი, ადგილი, დრო და ა. შ.; ყოველივე ეს ადეიშვილის ხელმოწერასაც საეჭვოს ხდიდა.

ბრალდების მხარემ მხოლოდ ხსენებული ოქმების დაუშვებლად ცნობა მოითხოვა. როგორც მოსამართლემ განმარტა, ოქმების დაუშვებლად ცნობა არ ნიშნავდა იმას, რომ ზურაბ ადეიშვილი და გიორგი საბანაძე დასაკითხ პირთა სიიდან ამოირიცხებოდნენ; შეიძლებოდა აღნიშნული პირები სასამართლოში მაინც დაკითხულიყვნენ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარის განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს დათქმა, რომ მტკიცებულება მხოლოდ საქართველოში უნდა იქნეს მოპოვებული; ამდენად, მან ზემოაღნიშნული მტკიცებულებები კანონის სრული დაცვით მოიპოვა და ისინი დაუშვებლად არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა და განმარტა, რომ ზურაბ ადეიშვილის გამოკითხვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით ჩატარდა.

შენიშვნა: გამოკითხვის ოქმში ზურაბ ადეიშვილის აღიარება იყო ასახული: ზურაბ ადეიშვილმა განაცხადა, რომ დანაშაული მან ჩაიდინა და არა ბრალდებულებმა.

2. პროკურორებმა დააყენეს შუამდგომლობა დაცვის მხარის ორი ადვოკატის, გიორგი კონდახიშვილისა და ელენე ლაზარიაშვილის, აცილების თაობაზე. ამის მოტივად პროკურორებმა ის დაასახელეს, რომ აღნიშნული პირები გამოძიების პერიოდში იცავდნენ როგორც ბრალდებულების, ისე ბრალდების მხარის მოწმეების ინტერესებს, რაც, მათი განმარტებით, ინტერესთა კონფლიქტს იწვევდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე პროკურორების არგუმენტს არ დაეთანხმა.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობდა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

მოწმეთა დაკითხვა არ დაწყებულა.

[9] http://www.kvirispalitra.ge/politic/20939-zurab-adeishvili-qgadavtsyvite-qnacmodzraobisq-dasafinanseblad-qthbilisis-ganvitharebis-fondisq-fuli-gamomeyenebinaq-eqskluzivi.html?lang=ka-GE&add=1

6. განაჩენი

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. საქმეზე განაჩენი არ გამოტანილა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები ეძლეოდათ, თუმცა დაფიქსირდა ფაქტები, რომლებიც შესაძლოა თანასწორობის დარღვევად შეფასდეს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიგი უგულავას თანამდებობიდან გადაყენების საკითხი, რომელიც სხდომაზე მის დაუსწრებლად გადაწყდა. მართალია, სასამართლო უფლებამოსილია ასეთი შუამდგომლობა მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილოს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საქმისადი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა და საქმე პირდაპირი არჩევნებით არჩეულ თბილისის მერს ეხებოდა, უმჯობესი იქნებოდა, მერის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობაც მხარეთა თანდასწრებით განხილულიყო და დაცვის მხარეს საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა მისცემოდა.

პროცესზე გამოიკვეთა მოწმე, რომელიც მოწმედ ფიგურირებდა ასევე ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის საქმეში, რომელსაც ქუთაისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები სხვა საქმეებშიც მრავლად არის. მართალია, კანონმდებლობა არ კრძალავს ერთი მოწმის რამდენიმე საქმეში გამოყენებას, თუმცა ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, მოწმეთა სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა და, მეორე მხრივ, შეიძლება პროკურატურის ტენდენციურობაზე მეტყველებდეს.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო პროკურატურის მიერ მტკიცებულებად გიგი უგულავას არასრულწლოვან შვილთან პირადი საუბრის ჩანაწერის წარმოდგენა. ეს ყოველგვარი მორალური სტანდარტის დარღვევაა. პროკურატურის ასეთი ქმედება გაუმართლებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საუბარში საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები არ იკვეთებოდა და ის არც დანაშაულის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა. აღნიშნული ფაქტი ნათლად მიუთითებს საქართველოში პირადი საიდუმლოების დაცვის პრობლემის არსებობაზე. ნათლად გამოიკვეთა, რომ პირადი ცხოვრების დეტალები დაუცველია და სწორედ ის ორგანოები, რომლებიც ვალდებული არიან, უზრუნველყონ პირადი საიდუმლოების დაცვა, არ ერიდებიან, ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროებას.

გიგი უგულავამ ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლეზე ზეწოლის განხორციელების შესახებ განაცხადა. აუცილებელია, შესაბამისი ორგანოები (საგამოძიებო ორგანოები და იუსტიციის უმაღლესი საბჭო) დაინტერესდნენ აღნიშნული შემთხვევით და დროულად დაადგინონ სიმართლე. სამწუხაროდ, ამ ფაქტზე რეაგირება არცერთ კომპეტენტურ უწყებას არ მოუხდენია.

ნიკანორ მელია, ზურაბ ადეიშვილი, ცეზარ ჩოჩელი და სხვები (ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ნიკანორ მელია, აღსრულების ეროვნული ბიუროს ყოფილი თავმჯდომარე – ქონების გადამალვა მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

ზურაბ ადეიშვილი, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ორგანიზება, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

ცეზარ ჩოჩელი, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი – ქონების გადამალვა მოჩვენებითი გარიგებით, ჩადენილი მოსალოდნელი ქონებრივი ვალდებულებისათვის თავის არიდებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უფლების დამდგენი დოკუმენტის ჯგუფურად გაყალბება.

სხვა ბრალდებულები: ჯამბულ ებანოიძე, დავით გიორგაძე, გრიგოლ მორჩილაძე, გოჩა ცხენოსანიძე, ნუგზარ საჯაია, დავით კოდუა, ვასილ ჩიგოგიძე, ლევან საყვარელიძე, ილია ანთაძე, ლაურა ღაჭავა, ნიკა ყუბანეიშვილი, ირაკლი თაქთაქიშვილი.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა 2011 წლის ბოლოს და 2012 წლის დასაწყისში ბანკი „ქართუს“ წინააღმდეგ სხვადასხვა ქმედება განახორციელეს. კერძოდ, ისინი უკავშირდებოდნენ იმ ორგანიზაციათა მმართველებს, რომლებსაც „ქართუსთან“ სესხის ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული, და აიძულებდნენ მათ, ორგანიზაციების ძველ დეკლარაციებში ყალბი მონაცემები შეეტანათ, ისე, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებს სახელმწიფოს წინაშე დიდი ოდენობის დავალიანება წარმოშობოდათ. დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის შემდეგ, სასამართლო განხილვისას ხსენებულ ორგანიზაციათა მმართველები აღიარებდნენ სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას, რის შედეგადაც ამ ორგანიზაციების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების მიმართ აღსრულება იწყებოდა: იმართებოდა ფიქციური ინტერნეტაუქციონები, რომლებზედაც დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრული იურიდიული პირი იმარჯვებდა. გამარჯვების შემდეგ აღნიშნული იურიდიული პირი უარს აცხადებდა აუქციონით დადგენილი თანხის გადახდაზე; ამდენად, უძრავი ქონება სახელმწიფო ბალანსზე ხვდებოდა. სახელმწიფო ბალანსიდან ეს უძრავი ქონება ასევე ფიქციურად, საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასად, მხარეთა მიერ წინასწარ განსაზღვრულ იურიდიულ პირებზე იყიდებოდა. ამის პარალელურად, მევალე ორგანიზაციები წყვეტდნენ „ქართუს“ მიმართ არსებული სესხის დაფარვას, ბანკს კი აღარ შეეძლო სესხით დატვირთული უძრავი ქონების აღსასრულებლად მიქცევა, რადგან ეს ქონება ყოველგვარი უფლებრივი ნაკლის გარეშე სრულიად სხვა ორგანიზაციის საკუთრებად იყო რეგისტრირებული. სქემა რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა. მისი საბოლოო მიზანი ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკის, „ქართუს“, გაკოტრება იყო.

იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირისთვის საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში სახელმწიფოს მისი ქონების აუქციონზე გატანა შეეძლო, იმის მიუხედავად, დატვირთული იყო თუ არა ეს ქონება იპოთეკით. ბრალდების მხარის მტკიცებით, ყოფილმა მაღალჩინოსნებმა შესაბამისი კანონი პარლამენტს საგანგებოდ შეაცვლევინეს.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ბრალდებულთაგან მხოლოდ ჯამბულ ებანოიძემ და ნიკა ყუბანეიშვილმა ცნეს თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მათ განაცხადეს, რომ აღიარება ნებაყოფლობითია და მათ მიმართ ძალდატანება, მუქარა, უკანონო დაპირება ან სხვა რაიმე ქმედება არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში ბრალდებული ნიკანორ მელია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატი) ასევე ბრალდებულია სხვა საქმეში. მას ბრალად ხულიგნობა ედება. ბრალდება 2013 წლის 12 მაისს რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარი ჩხუბის ფაქტს ეხება.

შესავალი სიტყვის წარმოთქმისას ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები რეალურად არიან მსხვერპლები და არა დამნაშავეები, ვინაიდან მათზე ზეწოლა ხდებოდა. ადვოკატთა განცხადებით, ბრალდებულები თავისუფალი ნებით არ მოქმედებდნენ. ორი საწარმოს ხელმძღვანელთა ადვოკატების თქმით, მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე ზეწოლის განხორციელებას ისიც ადასტურებს, რომ იმ პერიოდში ორივე დაკავებული იყო.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ზურაბ ადეიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების, ასევე ჯამბულ ებანოიძის, რომან ჩხენკელის, მამუკა ლაშხიას, ოთარ აგლაძის და ნიკანორ მელიას მიმართ გირაოს გამოყენების თაობაზე.

სასამართლოს განჩინებით ჯამბულ ებანოიძეს გირაოს თანხად 30 000 ლარი განესაზღვრა, რომან ჩხენკელს – 15 000, მამუკა ლაშხიას და ოთარ აგლაძეს – თითოეულს 8 000 ლარი, ხოლო ნიკანორ მელიას – 25 000 ლარი.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა პროკურორის აცილების თაობაზე და საფუძვლად შემდეგი გარემოება მიუთითა: ვინაიდან ზურაბ ადეიშვილი მთავრობის წევრი იყო, მისი თანამდებობიდან გამომდინარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების უფლება მხოლოდ მთავარ პროკურორს (იმდროინდელი კანონმდებლობით – იუსტიციის მინისტრს) ჰქონდა. დაცვის მხარის განცხადებით, თუ პროკურორს მთავარი პროკურორისგან არ ჰქონდა დელეგირებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება (რისი დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი უნდა არსებულიყო), მაშინ პროკურორის აცილების საფუძველი არსებობდა.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურორმა განაცხადა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ზურაბ ადეიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო, იგი აღარ იმყოფებოდა

თანამდებობაზე; ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის მთავარი პროკურორის მიერ დაწყება საჭირო არ იყო.

განჩინება: სასამართლომ ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მან განმარტა, რომ უარის მიზეზი შუამდგომლობის უსაფუძვლობა იყო.

ბ. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

პროკურორებმა დააყენეს შუამდგომლობა ერთ-ერთი ბრალდებულის, ნიკა ყუბანეიშვილის, საქმის ცალკე გამოყოფის და სისხლის სამართლის კოლეგიის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შესახებ. ამ მოთხოვნის საფუძვლად პროკურატურამ შემდეგი გარემოება მიუთითა: ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება იყო მიღწეული და ორივე მხარე ეთანხმებოდა იმას, რომ საქმე არსებითად არ განხილულიყო.

განჩინება: მოსამართლემ შუამდგომლობა ნიკა ყუბანეიშვილის, მისი დამცველის და სხვა ბრალდებულების პოზიციების მოსმენის შემდეგ დააკმაყოფილა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

ძირითადად დაიკითხნენ იმ საწარმოთა დირექტორები და მათთან დაკავშირებული პირები, რომლებიც ბანკი „ქართუს“ გაკოტრების სქემაში იყვნენ ჩართული. ერთ-ერთი საწარმოს დირექტორმა ბანკი „ქართუდან“ იმ სესხის გამოტანის ფაქტი გაიხსენა, რომლის უზრუნველსაყოფადაც მისი ბინა იპოთეკით დაიტვირთა. მოწმის თქმით, მას შემოსავლების სამსახურიდან დაუკავშირდნენ და მოსთხოვეს სესხით დატვირთული ქონების ნუსხა, აგრეთვე მისი კომპანიის ბუღალტრისათვის ცნობილი პაროლი, რათა კომპანიის ძველ დეკლარაციებში ყალბი მონაცემები შეეტანათ, იმგვარად, რომ კომპანიას სახელმწიფოს წინაშე ვალი წარმოშობოდა. ვალს სესხის ხელშეკრულებებით დატვირთული უძრავი ქონების ღირებულება უნდა გადაეფარა. ყალბი მონაცემებით ვალი იმ პერიოდისათვის უნდა წარმოშობილიყო, სანამ „ქართუსთან“ სესხის ხელშეკრულებები გაფორმდა. გეგმის მიხედვით, ქონება ჯერ სახელმწიფო საკუთრებაში მიექცეოდა, შემდგომ კი მოწმის ნდობით აღჭურვილი პირის სახელზე უნდა გადაფორმდებოდა. მოგვიანებით ეს ქონება მისი ცოლისა და ქვისლის სახელზე გადაფორმდა. მოწმედ დაიკითხნენ ასევე აღნიშნული საწარმოს დირექტორის მეუღლე და ნათესავები.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

მიმდინარეობს ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვა. დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა არ დაწყებულა.

6. განაჩენი

მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა, მოწმეთა დაკითხვა. საქმეზე განაჩენი არ გამოტანილა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს თანაბარი შესაძლებლობები ეძლეოდათ. რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც გავლენას მოახდენდა მხარეთა თანასწორობის პრინციპზე, არ დაფიქსირებულა.

ბრალდებულ ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ არსებული სხვა მნიშვნელოვანი საქმე

1. საქმის მოკლე აღწერილობა

ცეზარ ჩოჩელის წინააღმდეგ, გარდა ზემოაღნიშნული საქმისა, მიმდინარეობს სხვა საქმეც, რომელშიც მას თაღლითობასა და ფულის გათეთრებაში ედება ბრალი. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პროცესის მხოლოდ რამდენიმე ეტაპს დააკვირდა, თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ორგანიზაციამ საქმის მასალების ნაწილი შეისწავლა.

2. პროკურატურის ბრალდება

ცეზარ ჩოჩელს ბრალი ედება ორ ეპიზოდში:

1. ცეზარ ჩოჩელი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილის, დავით გიორგაძის, დახმარებით მოტყუებით, თაღლითური გზით დაეუფლა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანას“. პროკურატურის მოსაზრებით, დავით გიორგაძემ მის მიერ მოწვეულ აუდიტორს დაავალა, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ საბაზრო ღირებულება ხელოვნურად შეემცირებინა, რათა ცეზარ ჩოჩელს მისი ძმის, იაგო ჩოჩელის, კომპანიის – შპს „მიქსორის“ – საშუალებით აუქციონზე ქარხნის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად დაუფლება შესძლებოდა. 2010 წლის 21 სექტემბერს შპს „მიქსორმა“ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ აუქციონის მეშვეობით 6 850 000 აშშ დოლარად შეიძინა. აუქციონზე გასაყიდად გატანილი ქარხანა სპეციალურად მოწვეულმა აუდიტორმა 6 700 000 აშშ დოლარად შეაფასა. ბრალდების მხარის მტკიცებით, იმისთვის, რომ მინისტრის მოადგილისა და ცეზარ ჩოჩელის გეგმები განხორციელებულიყო და ჩოჩელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქარხანას საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად დაუფლებოდა, აუდიტორმა დასკვნის შედგენის დროს ხელოვნურად არ გაითვალისწინა ისეთი გარემოებები, რომლებიც ქარხნის ღირებულებას გაზრდიდა. პროკურატურის განცხადებით, ამ გარიგების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს 19 696 764,33 ლარის ზიანი მიადგა.

2. ცეზარ ჩოჩელმა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შემოსავლები მისი ოჯახის წევრთა საკუთრებაში არსებული საწარმოების განვითარებისა და რეინვესტირებისათვის გამოიყენა. კერძოდ, პროკურატურის მოსაზრებით, ქარხნის შემოსავლები სხვადასხვა პერიოდში სს „ქართული ლუდის კომპანიას“ (ლუდსახარში „ზედაზენი“), შპს „მიქსორს“, შპს „ბარამბოს“ და შპს „ბერტას“ მოხმარდა, რის შედეგადაც ცეზარ ჩოჩელმა 49 931 429 ლარი გაათეთრა.

3. ჩვენი დაკვირვება

ამჟამად დაყადაღებულია ცეზარ ჩოჩელთან ასოცირებული ყველა კომპანია (ქონება და წილები). ბრალდების თანახმად, ცეზარ ჩოჩელი უკანონოდ განკარგავდა „რკინაბეტონის შპალის ქარხნიდან“ მიღებულ შემოსავლებს, რითაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება) ახდენდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ ბრალდებაში მოცემული დასაბუთება და ფაქტობრივი გარემოებები ფულის გათეთრების ბრალდების დასადასტურებლად

საკმარისი არ არის. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის პირველ ნაწილში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)“ განმარტებულია, როგორც უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით. იმავე მუხლის შენიშვნა უკანონო ქონების შინაარსს განმარტავს: უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ბრალდების თანახმად, ცეზარ ჩოჩელი ზემოაღნიშნული ქარხნიდან მიღებული დივიდენდების მისი ოჯახის წევრთა კუთვნილ სხვა კომპანიებში რეინვესტირებას ახდენდა, რაც, პროკურატურის მოსაზრებით, თანხის უკანონო წარმოშობის დასაფარავად ხორციელდებოდა. გაუგებარია, რატომ მიაჩნია პროკურატურას დივიდენდის განკარგვა უკანონოდ. მესაკუთრეს სრული უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს ერთი კომპანიიდან მიღებული შემოსავალი და იგი სხვა კომპანიაში რეინვესტირებისათვის გამოიყენოს. ეს ვერ იქნება მიჩნეული ფულის გათეთრებად, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) – შემადგენლობისთვის აუცილებელია არსებობდეს ქონების ან შემოსავლის უკანონობის დაფარვის მიზანი, დივიდენდის განკარგვით კი ამგვარი მიზნის მიღწევა გამორიცხულია.

გაურკვეველია, რით იყო მოტივირებული ან რა გარემოებამ და რისკებმა განაპირობა სასამართლოს მიერ ცეზარ ჩოჩელთან ასოცირებული ყველა კომპანიის აქტივების დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველს განმარტავს. აღნიშნული ნორმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს.

იმ პირობებში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდება დამატებით დასაბუთებასა და ფაქტობრივ გარემოებებს საჭიროებს, გაუგებარია, რატომ გახდა აუცილებელი სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმოების პროცესში რამდენიმე კომპანიის საქმიანობის ერთდროულად შეჩერება. ამ ქმედების შედეგად შეფერხდა რამდენიმე საწარმოს მუშაობა და, ამდენად, მნიშვნელოვანი ზარალის რისკები შეიქმნა.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სათანადოდ დასაბუთებული არ არის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ არაპროპორციული სისხლის სამართლის იძულების ღონისძიება (ყადაღა) გამოიყენა. მნიშვნელოვანია, საქმის წარმოება დროულად და ობიექტურად წარიმართოს, ამასთანავე, პროცესის მიმდინარეობისას ხელყოფილი არ იქნეს არცერთი მხარის კანონიერი ინტერესები. დაუშვებელია ისეთი არაპროპორციული ზომების მიღება, რომლებიც ბიზნესერთეულების საქმიანობას შეაფერხებს.

მეგის ქარდავა (სერგო თეთრაძისა და სხვა პირების წამების ეპიზოდი)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

მეგის ქარდავა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება დამამძიმებელ გარემოებებში.

რატი მგელაძე, ზვიად კაპანაძე, მამუკა წურწუმია, სერგო ბიწაძე, ალექსანდრე კუჭუაშვილი, თორნიკე გუნავა, მერაბ მეტრეველი, გიორგი სამუშია, ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია, ალექსანდრე მუხაძე, კოხტა კოდუა – სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება.

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდებულებმა ს.ჩ-ს, ს. თ-ს, გ. ჩ-ს, დ. ლ-სა და გ. გ-ს ჯაშუშობის აღიარება მოსთხოვეს და მათ მიმართ ძალადობა, წამება, სექსუალური ხასიათის და სხვა სახის ძალმომრეობითი ქმედებები ჩაიდინეს.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განახლდა გარდაცვლილი ს. თ.-ის საქმის გამოძიება. გამოძიების ფარგლებში სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გარდაცვლილის გვამის ექსჰუმაცია განხორციელდა. ექსპერტიზამ სხეულზე დაზიანებები გამოავლინა. ამ დაზიანებებზე არაფერი იყო ნათქვამი პირველი ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც ს. თ.-ის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ჩატარდა.

სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო სასამართლომ ერთ-ერთი ადვოკატი 200 ლარით დააჯარიმა.

23 ივლისს გამართულ სხდომაზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რადგან გარდაცვლილი ს. თ.-ის ოჯახის წევრებსა და ერთ-ერთი ბრალდებულის, ალექსანდრე მუხაძის, დედას შორის შელაპარაკება მოხდა. საბოლოოდ მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა თეთრაძის ადვოკატი, მაგდა კოტრიკაძე, და მუხაძის დედა სხდომის დარბაზიდან გააძევა.

ს. თ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულებაში 2011 წლის 23 სექტემბერს, დაკავებიდან 5 დღეში გარდაიცვალა. მაშინდელი ოფიციალური ვერსიით, ამის მიზეზი გულის შეტევა იყო. იმის შესახებ, რომ თეთრაძე ციხეში წამებით მოკლეს, 2012 წლის სექტემბერში ე. წ. გლდანის მე-8 საპყრობილის ყოფილმა ოპერატიულმა მორიგე ინსპექტორმა, ვლადიმერ ბედუკაძემ, განაცხადა.

4. აღკვეთის ღონისძიება

ბრალდების მხარის შუამდგომლობა: ბრალდების მხარემ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა, რაც ბრალდების სიმძიმით, მოწმეებზე შესაძლო ზემოქმედებით და ერთ-ერთი ბრალდებულის, მეგის ქარდავას, მიმალვით ახსნა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და პირდაპირი მტკიცებულებების (ექსპერტის დასკვნის) არარსებობაზე მიუთითა.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა არსებული მდგომარეობა, მათ შორის, ის ფაქტი, რომ მეგის ქარდავა მიმალული იყო, და ბრალდების მხარის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

1. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა საკუთარი 5 მოწმის პროცესიდან მოხსნის შესახებ. მან განაცხადა, რომ პროცესის დაწყებიდან მოწმეთა საკმარისი რაოდენობა დაიკითხა და დარჩენილი 5 მოწმე რაიმე ახალ გარემოებაზე ვერ ისაუბრებდა.

დაცვის მხარის პოზიცია: ერთ-ერთი ადვოკატი მოწმეთა პროცესიდან მოხსნის წინააღმდეგი იყო.

განჩინება: ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. მოსამართლემ ადვოკატს განუმარტა, რომ აღნიშნული მოწმეები ბრალდების მხარის მიერ იყვნენ მოწვეული; ამდენად, პროკურორს სრული უფლება ჰქონდა, მათ დაკითხვაზე უარი განეცხადებინა.

2. ბრალდების მხარემ 5 მოწმის დეპონირებული ჩვენებების გამოკვლევა მოითხოვა. პროკურორის განმარტებით, აღნიშნულმა მოწმეებმა, რომლებიც გამოძიების ეტაპზე კანონის სრული დაცვით დაიკითხენ, საქართველოს ტერიტორია დატოვეს. მან განაცხადა, რომ პროკურატურამ ამ მოწმეთა პროცესზე დაბარების ყველანაირი შესაძლებლობა ამოწურა.

განჩინება: სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

ბ. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ სხდომებზე დაცვის მხარეს შუამდგომლობა არ დაუყენებია.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

დაზარალებული ს. ჩ.-ის ეპიზოდთან დაკავშირებით:

ბრალდების მხარის მტკიცებით და ს. ჩ.-ის ჩვენებებებით გაირკვა შემდეგი: დაზარალებულის, რომელსაც ბრალად სდებდნენ ჯაშუშობას, სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა წითელი მეხსიერების ბარათი, რომელიც რეალურად მას არ ეკუთვნოდა. დაზარალებულმა ჩხრეკის ოქმს მაინც მოაწერა ხელი, რადგან ეს ნივთი თავისი შვილიშვილის ეგონა. ს. ჩ. ერთ-ერთ ადგილას გადაიყვანეს. დაზარალებულის თქმით, მან მოგვიანებით გაარკვია, რომ ეს ბაჩანა ახალაიას კაბინეტი იყო. ს. ჩ.-ს ჯაშუშობის აღიარება მოსთხოვეს და იძულებითი ჩვენების მიღების მიზნით ფიზიკურად გაუსწორდნენ. დაზარალებულის განცხადებით, მან დანაშაული არ აღიარა, რის შემდეგაც ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის განხორციელებით დაემუქრნენ. ს. ჩ.-ის თქმით, მეგის ქარდავამ მისი თანდასწრებით გასცა მისი ოჯახის წევრების მოყვანის ბრძანება. ოჯახის წევრების უსაფრთხოების მიზნით ს. ჩ.-მ გადაწყვიტა, ეღიარებინა ჯაშუშობა. ამის შედეგად იგი ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს.

დაზარალებული დ. ლ.-ის ეპიზოდთან დაკავშირებით:

ბრალდების მხარის მტკიცებით, დ. ლ.-ის მიერ ჯაშუშობის აღიარების მიზნით თავდაცვის სამინისტროს შენობაში მის მიმართ მეგის ქარდავა და სხვები ფიზიკურ ძალადობას ახორციელებდნენ. დ. ლ. იძულებული გახდა, ეღიარებინა დანაშაული, რადგან მას სექსუალური ძალადობით დაემუქრნენ. დ. ლ.-მ განაცხადა, რომ იმ დროს ოთახში ძმები ახალაიებიც იმყოფებოდნენ.

როდესაც დ. ლ.-მ ჯაშუშობა აღიარა, ბრალდებულებმა დაიწყეს მსჯელობა, როგორ დაედგათ სცენარი. სცენარი ასეთი იყო: დ. ლ. ე. წ. რუს აგენტს უნდა შეხვედროდა. დ. ლ.-ს კამერები და მოსასმენი აპარატურა ტანსაცმელზე ექნებოდა დამონტაჟებული. დ. ლ.-ს ასევე გადასცეს ქაღალდზე დაწერილი ტექსტი, რომლის მიხედვითაც მას ე. წ. რუს აგენტთან უნდა ესაუბრა. გარდა ამისა, დ. ლ.-ს გადასცეს მეხსიერების ბარათი, რომელიც მას ე. წ. რუსი აგენტისთვის უნდა გადაეცა, შემდეგ კი მისგანვე უკან უნდა მიეღო.

დაზარალებული გ. გ.-ის ეპიზოდთან დაკავშირებით:

სამართალდამცველებმა გ. გ.-ის ბინა გაჩხრიკეს. ჩხრეკისას მოწმეთა დასწრებაზე გ. გ.-ს უარი განუცხადეს. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა მეხსიერების ბარათი. გ. გ. მიიყვანეს თავდაცვის სამინისტროს შენობაში, სადაც მთელი დღის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ და აწამებდნენ ე. წ. ბორჯღებიანი ჯოხით. დაზარალებული იხსენებს: „ვთხოვე, ზურგში არ დამარტყათ, დისკოზის ოპერაცია მაქვს ახალი გაკეთებული-მეთქი. ეს რომ გაიგონეს, „ბატინკიანი“ წიხლი ჩამარტყეს ზურგში. შემდეგ ქარდავამ პარკი ჩამომაცვა თავზე; ხელში მაკრატელი ეჭირა და მეკითხებოდა, რომელი თითი მოგაჭრაო?!“ გ. გ.-მ თვითმკვლელობაც სცადა – საკუთარი სათვალის რკინის ყელში ჩარჭობით. დაზარალებულის განცხადებით, ადგილზე მეგის ქარდავაც იმყოფებოდა. გ. გ.-ის თქმით, ოქმი მოგვიანებით შედგა. მასში ჩაწერეს, თითქოს გ. გ. დაკავებამდე 2 დღით ადრე სხვენში წაიქცა და სხეულის დაზიანებები იქ მიიღო, თუმცა, ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, შეუძლებელი იყო, დაზიანებები, რომლებიც გ. გ.-ს სხეულზე აღენიშნებოდა, მას ერთჯერადად, სხვენში დაცემით მიეღო.

დაზარალებული გ. ჩ.-ის ეპიზოდთან დაკავშირებით:

ბრალდებულებმა გ. ჩ.-ს ზუგდიდში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. დაზარალებულის განცხადებით, ისინი მას ჯაშუშობის აღიარებას აიძულებდნენ, თუმცა გ. ჩ.-მ დანაშაული არ აღიარა. ამის შემდეგ იგი თბილისში გადაიყვანეს. გუნავა, წურწუმია და სხვები ლოგინზე მიბმულ გ. ჩ.-ს რამდენიმე დღის განმავლობაში სცემდნენ, წამებითა და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ, ასევე სთხოვდნენ, ჯაშუშობა ეღიარებინა და სხვა პირებიც დაესმინა. მას არ ჰქონდა საკვები, ჰიგიენური საშუალებები და ა. შ..

დაზარალებულის განცხადებით, მან ვერ გაუძლო ზეწოლას და თვითმკვლელობა სცადა, კერძოდ, ერთ-ერთ მომენტში ბორკილებიდან თავის დაღწევა მოახერხა და ფანჯრიდან გადახტა. გ. ჩ. მოათავსეს ჰოსპიტალში, სადაც მასზე ზეწოლა გაგრძელდა. დაზარალებულს არ ჰქონდა ძილის, საკვების მიღების და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალება.

დაიკითხა ასევე მოწმე, რომელიც გორის სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა. მან დაადასტურა, რომ პაციენტი საწოლზე ბორკილებით იყო მიბმული და მას საგანგებოდ მეთვალყურეობდნენ. იგი გააფრთხილეს, რომ ამ პაციენტთან დაკავშირებით ზედმეტი კითხვები არ დაესვა.

მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მათ ჰოსპიტალში მოთავსებულ პაციენტზე უთხრეს, ქარდავას ნათესავია და უნდა მიხედოთო. ზოგიერთი მოწმის განცხადებით, მათ ნახეს, რომ უცნობი სავარძელში იჯდა და ხელები ლოგინზე ჰქონდა მიბმული. ერთ-ერთმა მოწმემ გაიხსენა, რომ, როდესაც ამ ადამიანის ვინაობა იკითხა, უთხრეს, ქარდავას დავალებით არის მოყვანილი და გვიბრძანეს, არ ეკონტაქტოთო.

ერთ-ერთი მოწმის თქმით, ქარდავა გ. ჩ.-სთან ჰოსპიტალში იმყოფებოდა. ისინი წუთი-წუთნახევრის განმავლობაში საუბრობდნენ. შემდეგ ქარდავა ოთახიდან გავიდა და გასცა ბრძანება, გ. ჩ.-ს არავინ დალაპარაკებოდა და იგი მხოლოდ წყლით, საჭმლითა და ტუალეტით უზრუნველეყოთ. შემდეგ გ. ჩ.-სთან გუნავა და წურწუმია მივიდნენ და წაიყვანეს. გზაზე მას ჯაჭვი მოაბეს და გარკვეულ მანძილზე ათრიეს, თან კვლავ ჯაშუშობის აღიარებას სთხოვდნენ. გ. ჩ.-მ გაიხსენა, რომ ის მოგვიანებით ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში წაიყვანეს, შენობაში შეყვანამდე კი ჯიბეში პარკში გახვეული რაღაც ჩაუდეს. ჩხრეკის შემდეგ გ. ჩ.-ს ნარკოტიკი აღმოუჩინეს, რის გამოც ის 7 თვით ჩასვეს ციხეში.

დაზარალებული ს. თ.-ის ეპიზოდთან დაკავშირებით:

2011 წლის 17 სექტემბერს ს. თ.-ის საცხოვრებელი ბინა გაიჩხრიკა. ჩხრეკა შესაბამისი ორდერის წარდგენის გარეშე ჩატარდა და მას არც მოწმეები დასწრებიან. დაზარალებულის მეუღლემ (მ. თ.) აღნიშნა, რომ ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ვერაფერი იპოვეს. მათ ს. თ.-ის პასპორტი და მობილური ტელეფონი ამოიღეს და მაგიდაზე დაალაგეს. ამ ნივთებთან ერთად იდო წითელი მეხსიერების ბარათი, რომელიც, მ. თ.-ის განცხადებით, ოჯახის არცერთ წევრს არ ეკუთვნოდა. ს. თ. დაკითხვის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა წაიყვანეს. რამდენიმე საათში 20-კაციანმა ჯგუფმა ხელახლა ჩაატარა ჩხრეკა სარდაფში. ეს პროცესი 2 საათს მიმდინარეობდა. მოწმის განცხადებით, იმავე დღეს მასთან მივიდა პირი, რომელმაც სთხოვა, ხელი მოეწერა ჩხრეკის ოქმზე. მ. თ.-მ ჩხრეკის ოქმს ხელი მოაწერა. მ. თ.-მ იმავე პირისგან გაიგო, რომ მისი მეუღლე დაკითხვაზე ჰყავდათ. მოწმის თქმით, მისმა ადვოკატმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლო იმის დადგენა, თუ სად იმყოფებოდა ს. თ.. როგორც გაირკვა, ს. თ. მოთავსებული იყო წინასწარი დაკავების იზოლატორში, სადაც მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. 19 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე ჩატარდა ს. თ.-ის სასამართლო სხდომა. მას ჯაშუშობის ბრალდება წარუდგინეს. მ. თ. სხდომაზე არ შეუშვეს. მან დაინახა, რომ მის მეუღლეს გადაადგილება უჭირდა. ამის შემდეგ მ. თ.-ს მეუღლე არ უნახავს. 24 სექტემბერს ს. თ.-ის ოჯახს აცნობეს, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მოგვიანებით კი მ. თ.-ს შეატყობინეს, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა და უნდა წაესვენებინათ. მოწმის განცხადებით, როდესაც მისი მეუღლე სახლში მიასვენეს, ცხედარს საკუთარი ტანსაცმელი არ ეცვა, ნაწამები იყო და სახეზე მაკიაჟი ჰქონდა გაკეთებული.

ერთ-ერთმა მოწმემ, რომელიც ციხის თანამშრომელი იყო, გაიხსენა „ჭაღარა კაცის“ წამებისა და გარდაცვალების ფაქტი, რომელიც 2011 წლის სექტემბერში მოხდა. მოწმის თქმით, მან საკანში ყოფნისას დაინახა, რომ ს. თ. საკნიდან გაიყვანეს, შემდეგ კი მისი ყვირილის ხმა ესმოდა. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ 23 სექტემბერს დაინახა, როგორ წაასვენეს გარდაცვლილი ს. თ..

ციხის სხვა თანამშრომელს ს. თ.-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაკითხვის ოქმზე მოაწერინეს ხელი, თუმცა, ამ მოწმის განცხადებით, მან აღნიშნული ინციდენტის შესახებ არაფერი იცოდა, ჩვენება გამზადებული დახვდა და უბრალოდ ხელი მოაწერა. კითხვაზე, საიდან ჰქონდა ინფორმაცია ს. თ.-ის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ, მოწმემ უპასუხა, რომ იგი ციხიდან ბედუკაძემ გადააყვანინა დირექტორის ბრძანებით, მისივე მანქანით. მოწმემ ასევე გაიხსენა, რომ 1 თვის მონაცემები – ვიდეოჩანაწერები – სერვერიდან წაიშალა.

გამოქვეყნდა ექიმების დეპონირებული ჩვენებები, რომლებმაც განაცხადეს, რომ პაციენტი კომატოზურ მდგომარეობაში იყო და პულსი არ ესინჯებოდა.

6. განაჩენი

მეგის ქარდავა უდანაშაულოდ იქნა ცნობილი დაზარალებულ ს. ჩ.-ის წამების, დაზარალებულ ს. თ.-ის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედებისა და წამების ორგანიზების ბრალდებაში, აგრეთვე დაზარალებულ გ. ჩ.-ის დამცირებისა და იძულების, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ძალადობით ჩადენის ბრალდებაში.

მეგის ქარდავას ბრალდების კვალიფიკაცია (ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) შეეცვალა. კერძოდ, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში.

მეგის ქარდავას მიმართ **გამამტყუნებელი განაჩენი დადგა** დაზარალებულების – დ. ლ.-ის და გ. გ.-ის – წამების ბრალდებისათვის, აგრეთვე დაზარალებულ გ. ჩ.-ისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებისათვის. **მეგის ქარდავას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით და საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.**
რატი მგელაძე, მერაბ მეტრეველი, ალექსანდრე კუჭუაშვილი, მამუკა წურწუმია და გიორგი სამუშია წარდგენილ ბრალდებებში სრულად გამართლდნენ.

ზვიად კაპანაძე, სერგო ბიწაძე, ალექსანდრე მუხაძე, ოლეგ ფაცაცია და ვიქტორ ყაჭეიშვილი სასამართლომ **დამნაშავედ ცნო ყველა წარდგენილ ბრალდებაში**. საბოლოო სასჯელის ზომად ზვიად კაპანაძეს და სერგო ბიწაძეს განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო ალექსანდრე მუხაძეს, ოლეგ ფაცაციას და ვიქტორ ყაჭეიშვილს – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით და საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით.

თორნიკე გუნავა და კოხტა კოდუა **უდანაშაულოდ იქნენ ცნობილი** დაზარალებულ გ. ჩ.-ის დამცირებისა და იძულების, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ძალადობით ჩადენის ბრალდებაში.

თორნიკე გუნავას ბრალდების კვალიფიკაცია (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით) შეეცვალა. კერძოდ, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში.

თორნიკე გუნავა და კოხტა კოდუა დამნაშავედ იქნენ ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებაში. **მათ საბოლოო სასჯელის ზომად 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ.**

7. ჩვენი დაკვირვება

საქმის განხილვისას ვერ ხერხდებოდა მოწმეთა ერთმანეთთან კომუნიკაციის სათანადოდ თავიდან აცილება. საქმეზე დაბარებული მოწმეები სხდომის დაწყებას დერეფანში ერთად ელოდებოდნენ და საუბრის შესაძლებლობა ჰქონდათ.

სხდომაზე დამსწრეთა შორის დაძაბულობა შეიქმნა, თუმცა ის სასამართლომ გაანეიტრალა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა, რომელიც მხარეთა თანასწორობას და მათ უფლებებს ხელყოფდა, არ გამოუვლენიათ.

ნიკა გვარამია

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ნიკა გვარამია, საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, ამჟამად ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი – ქრთამის აღებაში თანამონაწილეობა, ისეთი ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი, ჩადენილი ჯგუფურად.

სხვა ბრალდებულები: ალექსანდრე ხეთაგური, კახაბერ დამენია, დევი კანდელაკი, აშოტ მანუკიანი, იზაბელა გუტიძე, გიორგი ნემსიწვერიძე.

2. რით გამოიხატა ქმედება

პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულები კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობდნენ. წარმოებდა მოლაპარაკებები ენერგეტიკის მინისტრთან, ალექსანდრე ხეთაგურთან, რათა „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის, „მტკვარი ენერგეტიკის“ და „თელასის“ მფლობელ კომპანიას, „ინტერ რაოს“, თავი აერიდებინა საგადასახადო შემოწმებისთვის.

<u>ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით,</u> ზემოხსენებულ კერძო საწარმოთა მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის თავის არიდების მიზნით დევი კანდელაკმა ალექსანდრე ხეთაგურს თანხმობის მისაღებად ქრთამის სახით 1 000 000 აშშ დოლარი შესთავაზა, რასაც იგი დათანხმდა. ბრალდების თანახმად, აღნიშნული მოლაპარაკებების ორგანიზებაში უშუალოდ მონაწილეობდა ნიკა გვარამია. კერძოდ, პროკურატურა ამტკიცებდა, რომ ნიკა გვარამიამ დევი კანდელაკს 1 000 000 აშშ დოლარის გადაცემის შესანიღბად შემუშავებული დანაშაულებრივი სქემა გააცნო. ნიკა გვარამიას დავალებით გიორგი ნემსიწვერიძემ ფიქციურად შექმნა შპს „ელ ენდ ეფ სერვისი“, რომელიც საკონსულტაციო საქმიანობას მოჩვენებით ახორციელებდა. შპს „ელ ენდ ეფ სერვისი“ 2012 წლის 26 ივლისს დარეგისტრირდა. ამის შემდეგ მის ანგარიშზე „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის, „მტკვარი ენერგეტიკის“ და „თელასის“ ანგარიშებიდან თანხები გადაირიცხა „ელ ენდ ეფ სერვისის“ მიერ მათთვის განხორციელებული ფიქციური საკონსულტაციო საქმიანობის ასანაზღაურებლად. შპს „ელ ენდ ეფ სერვისს“ სულ 950 000 აშშ დოლარი გადაერიცხა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორი არ გამოცხადდა. წარმოდგენილ იქნა მისი წერილობითი განცხადება, რომლის მიხედვითაც, პროკურორი სამსახურებრივი მივლინებით ბათუმში იმყოფებოდა და ამიტომ სხდომის გადადებას ითხოვდა. ნიკა გვარამიას თქმით, ეს იმას ემსახურებოდა, რომ პროცესი გაჭიანურებულიყო, რათა განაჩენი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში არ ყოფილიყო გამოტანილი და მას არ მისცემოდა ბრალდებულის შეწყალების შესაძლებლობა. ნიკა გვარამია სხდომის გადადების წინააღმდეგი იყო, რადგან პროკურორის განცხადებას არ ახლდა მისი ბათუმში მივლინების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და სხდომა გადადო.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ი. გუტიძისთვის 50 000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდების, ასევე სხვა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას, რადგან მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იყო.

განჩინება: სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ბრალდებულებს – ნიკა გვარამიას, ალექსანდრე ხეთაგურს, კახაბერ დამენიას და დევი კანდელაკს – აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 30 000 ლარის ოდენობით, ხოლო ბრალდებულებს – აშოტ მანუკიანს, იზაბელა გუტიძეს და გიორგი ნემსიწვერიძეს – გირაო 15 000 ლარის ოდენობით. ამდენად, არ დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა ზოგიერთი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან პროკურორს სამსახურებრივი მივლინებით ბათუმში წასვლა უწევდა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარის აზრით, ეს იმას ემსახურებოდა, რომ პროცესი გაჭიანურებულიყო, რათა განაჩენი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ყოფილიყო გამოტანილი და მას არ ჰქონოდა ნიკა გვარამიას შეწყალების საშუალება.

განჩინება: ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა – საქმის განხილვა გადაიდო.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

მოწმეთა ჩვენებები განხილულ იქნა წინა მონიტორინგის ანგარიშში.[10]

დაიკითხა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელი, რომელმაც დაადასტურა 2012 წლის სექტემბერში „ხრამჰესი 1“-ის, „ხრამჰესი 2“-ის, „მტკვარი ენერგეტიკის“ და „თელასის“ ფინანსური შემოწმების დაწყება და მოგვიანებით, ალექსანდრე ხეთაგურის ბრძანების საფუძველზე, ამ შემოწმების შეწყვეტა.

დაიკითხა ასევე ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა ექსპერტიზა დოკუმენტებზე ხელმოწერების შესამოწმებლად .

6. განაჩენი

მოსამართლემ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა და ყველა ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო ყველა ბრალდებაში.

7. ჩვენი დაკვირვება

10 http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/gaxmaurebuli%20sisxlis%20samartlis%20saqmeebis%20sasamartlo%20monitoringis%20shualeduri%20angarishi,%20agvisto%202013_1.pdf

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს პროცესზე დარღვევები არ გამოუვლენიათ. საქმის განხილვისას მხარეთა თანასწორობა უზრუნველყოფილი იყო.

დავით (დათა) ახალაია (პოლიციელების ცემის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

დავით (დათა) ახალაია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

იოსებ თოფურიძე, დავით ახალაიას ყოფილი მოადგილე – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

გერონტი ალანია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი.

ოლეგ მელნიკოვი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი.

2. რით გამოიხატა ქმედება

პროკურატურის მტკიცებით, 2005 წლის 5 იანვარს დავით ახალაიამ თბილისის პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების თანამშრომელი და მისი კოლეგები დაიბარა ე. წ. მოდულის შენობაში, სადაც ერთს ახალაიამ, მისმა მოადგილემ, თოფურიძემ, და კუდ-ის თანამშრომლებმა სცემეს, მეორეს კი ახალაიას მითითებით კუდ-ის სხვა თანამშრომლები გაუსწორდნენ ფიზიკურად. ამის მიზეზად სახელდებოდა ეჭვი, რომ ისინი რამდენიმე დღით ადრე თბილისის ერთ-ერთი რესტორანში მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ივანე მერაბიშვილის, მეუღლის, თამარ სალაყაიას, შეურაცხყოფაში მონაწილეობდნენ.

ბრალდების თანახმად, ბრალდებულებმა დაზარალებულებს ასევე უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

დავით ახალაიას ადვოკატი და საქმეში ჩართული პროკურორი პროკურატურის შენობაში ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ამასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება გააკეთა ადვოკატმა რომეო საჯაიამ. ადვოკატთა ასოციაციამ პროკურატურას გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდა[11]. მომხდარ ინციდენტს პროკურატურაც გამოეხმაურა[12]. ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება ცემის ფაქტზე დაიწყო.

მოცემულ საქმეში ბრალდებული გერონტი ალანია ერთ-ერთი იყო კუდ-ის იმ 4 თანამშრომლიდან, რომლებიც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გაასამართლეს, 2009 წელს კი შეიწყალეს.

ერთ-ერთ სხდომაზე ოლეგ მელნიკოვმა განაცხადა, რომ უკრაინაში უკრაინელმა სამართალდამცველებმა მასზე ზეწოლა მოახდინეს, კერძოდ, აჩვენეს მისი ცოლისა და შვილის სურათი, რომლებიც გზაზე გადადიოდნენ, და უთხრეს, რომ აღნიშნულ საქმეზე კარგად დაფიქრებულიყო. უცნობმა პირებმა ზეწოლა განახორციელეს ასევე დედამისის მიმართ –

[11] http://1tv.ge/news-view/61434
[12] http://pog.gov.ge/geo/news?info_id=341

გააფრთხილეს, რომ, თუ მელნიკოვი ჭკვიანურად არ მოიქცეოდა, დიდ სასჯელს მიიღებდა. მოსამართლემ მელნიკოვს განუმარტა, რომ მას შეეძლო სამართალდამცავ ორგანოში შეეტანა განცხადება და გამოძიების დაწყება მოეთხოვა, სასამართლო კი ამ შემთხვევაში ვერაფერს იღონებდა.

დაცვის მხარე არაერთხელ შეეცადა, სადავოდ გაეხადა ბრალდებულთა თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებები. ადვოკატებმა იმ გარემოებაზე მიუთითეს, რომ განსახილველი საქმე 2005 წლის 5 იანვარს მომხდარ მოვლენებს უკავშირდებოდა, თუმცა მელნიკოვი და ახალაია თანამდებობებზე 2005 წლის 12 იანვრის ბრძანებებით დაინიშნენ; ამდენად, 5 იანვარს ისინი ვერ იქნებოდნენ მოხელეები და, ამდენად, სამოხელეო დანაშაულის სუბიექტები. ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბრძანებები სადავოდ არავის გაუხდია; ამიტომ მათი კანონიერება უდავოა. ეს ბრძანებები ძალაში მას შემდეგ შევიდა, რაც აღნიშნულმა პირებმა ოფიციალურად დაიწყეს უფლებამოსილების განხორციელება, ანუ 2005 წლის 3 იანვრიდან. ბრძანებების გვიან გამოცემა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაერთიანებით იყო გამოწვეული.

მოცემულ საქმეზე 20 სხდომა გაიმართა. დაიკითხა ბრალდების მხარის 12 მოწმე და დაცვის მხარის 6 მოწმე.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

განჩინება: ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიება დაუსწრებლად შეეფარდათ, რადგან არცერთი საქართველოში არ იმყოფებოდა. მათ მიმართ პატიმრობა იქნა გამოყენებული.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. ბრალდების მხარის შუამდგომლობები:

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დაკვირვებულ სხდომებზე ბრალდების მხარეს შუამდგომლობა არ დაუყენებია.

ბ. დაცვის მხარის შუამდგომლობები:

1. დაცვის მხარემ მოითხოვა მოსამართლის, ქეთევან ჯაჭვაძის, აცილება იმ მოტივით, რომ იგი მიკერძოებული იყო, ბრალდების მხარის სუსტი დასაბუთებების მიუხედავად, ბრმად იზიარებდა პროკურორთა პოზიციებს და დაცვის მხარეს უზღუდავდა საკუთარი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. დაცვის მხარემ მოსამართლის კვალიფიკაციაშიც ეჭვი შეიტანა და მიუთითა, რომ საქმე სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე მოსამართლეს უნდა განეხილა.

განჩინება: მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ქეთევან ჯაჭვაძემ ადვოკატების განცხადება სასამართლოსადმი უპატივცემულობად მიიჩნია და ისინი 500 ლარით დააჯარიმა.

2. დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებების შეცვლის თაობაზე. მელნიკოვთან მიმართებით დაცვის მხარემ აღნიშნა, რომ მან თავად განაცხადა თანხმობა საქართველოში ექსტრადიციაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბრალდებული მზად იყო მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობისთვის.

ბრალდების მხარის პოზიცია: პროკურორის მტკიცებით, პატიმრობა მელნიკოვის მიმართაც უნდა გაგრძელებულიყო, რადგან მას ექსტრადიციაზე თანხმობა არ განუცხადებია – იგი უკრაინელმა სამართალდამცველებმა დააკავეს და მისი საქართველოში ექსტრადიციაც იძულებით განახორციელეს. გარდა ამისა, მელნიკოვმა რამდენიმე თვით ადრე მიმართა უკრაინის შესაბამის ორგანოს, რათა მისთვის ლტოლვილის სტატუსი მიენიჭებინათ. ეს ფაქტი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მელნიკოვი ქართული სამართალდამცავი ორგანოებისთვის თავის არიდებას ცდილობდა.

განჩინება: მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან მიიჩნია, რომ ის სათანადოდ დასაბუთებული არ იყო. მან ასევე მიუთითა, რომ რეალურად არსებობდა დაკავებული პირების მიმალვის საფრთხე.

3. დაცვის მხარემ პროკურორის, ლევან ბაჩიაშვილის, აცილების შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარის განცხადებით, ბაჩიაშვილი მიუკერძოებელი ვერ იქნებოდა, ვინაიდან იგი პროკურორად ცემის ფაქტთან დაკავშირებით გამოდიოდა, თუმცა თავად პროკურატურის შენობაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დავით ახალაიას ადვოკატს:[13] „მე ვარ როგორც დათა ახალაიას, ასევე ბაჩო ახალაიას ადვოკატიც. ლევანს აქვს პირადი ინტერესი და კონფლიქტი, ამიტომ იგი ობიექტური ვერ იქნება“.

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ შუამდგომლობა უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. რაიმე კონფლიქტს საქმესთან შეხება არ აქვს.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა უსაფუძვლობის გამო არ დააკმაყოფილა.

4. ერთ-ერთი ბრალდებულის, გერონტი ალანიას, ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა, სასამართლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის მიეცა უფლება, საბოლოო სიტყვა პროცესზე ელექტრონული ჩართვის საშუალებით წარმოეთქვა.[14]

ბრალდების მხარის პოზიცია: ბრალდების მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და მიუთითა, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელების შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

განჩინება: სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

ა. ბრალდების მხარის მოწმეები:

დაზარალებულმა ზ. მ.-მ ის დღე გაიხსენა, როდესაც მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. მისი თქმით, როდესაც ე. წ. მოდულის შენობაში შეჰყავდათ, მას შეხვდა

[13] http://www.tabula.ge/ge/story/78903-prokurorma-da-axalaias-advokatma-ertmanets-fizikuri-sheuracxkofa-miakenes
[14] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 253-ე და 38-ე მუხლები.

სასტიკად ნაცემი მ. ა. (ამ საქმეში სხვა დაზარალებული), რომელიც მასში შეეშალათ და ამიტომ სცემეს, ცემის მიზეზი კი ივანე მერაბიშვილის ცოლის შეურაცხყოფა იყო.

დაზარალებულმა განაცხადა, რომ იგი შეიყვანეს კაბინეტში, სადაც დავით ახალაიაც იმყოფებოდა. ახალაიამ გასცა ბრძანება, იქ არაფერი მოემოქმედებინათ, სხვა ოთახში კი, როგორც შეთანხმდნენ, ისე მოქცეოდნენ. ზ. მ.-მ უარყო ივანე მერაბიშვილის ცოლის შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მას სასტიკად სცემეს და ნარკოტიკების ჩადებითაც დაემუქრნენ. ზ. მ.-ს აიძულებდნენ, კონკრეტული პიროვნებისთვის დაედო ხელი და ყველაფერი წერილობით დაეწერა. იმავეს აღიარებას სთხოვდა ზ. მ.-ს ბრალდებული მელნიკოვი. მოგვიანებით დაზარალებული გაუშვეს, თუმცა მისი იარაღი და პირადობის მოწმობა დაიტოვეს.

როგორც ერთ-ერთმა მოწმემ გაიხსენა, მას მ. ა.-მ უთხრა, რომ ე. წ. მოდულის შენობაში იყო დაბარებული. მან დაადასტურა აღნიშნულ შენობაში ზ. მ.-ის დაბარებაც, რომელსაც ასევე ტელეფონით ესაუბრა. მოგვიანებით მოწმემ ინახულა მ. ა., რომელიც სასტიკი ნაცემი იყო, ზ. მ.-ისგან კი ტელეფონით გაიგო, რომ ე. წ. მოდულის შენობაში მისვლას აპირებდა.

დაიკითხა ასევე დაზარალებული დ. კ. ივანე მერაბიშვილის ცოლის შეურაცხყოფ მანაც უარყო და ე. წ. მოდულის შენობაში დაბარების ფაქტი გაიხსენა. დ. კ. მივიდა ს. თ.-სთან და შემდეგ გავიდა დავით ახალაიას ოთახში, სადაც გერონტი ალანიაც იმყოფებოდა. მას რესტორან „ძველ სახლში“ მომხდარი ინციდენტის შესახებ ჰკითხეს; ეუბნებოდნენ, რომ მისთვის ნარკოტიკის ჩადებას აპირებდნენ; სთხოვეს, ზ. მ.-სთან დაერეკა, თუმცა მან თავის უშუალო უფროსთან დარეკა და მოასწრო ეთქვა, ნარკოტიკს მიდებენო. მოწმედ დაიკითხა ის პირი, რომელსაც დ. კ. ტელეფონით ესაუბრა. მან დაკითხვის დროს აღნიშნული ფაქტი დაადასტურა. როგორც დ. კ.-მ აღნიშნა, მელნიკოვმა დაიძახა, ცემით მოვკლათო. საბოლოოდ ბრალდებულებმა გადაწყვიტეს, დაზარალებული უვნებლად გაეშვათ, ვინაიდან დ. კ. მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის, მოადგილის, დავით ჩხატარაშვილის, მეჯვარე იყო.
დაიკითხა ივანე მერაბიშვილის მეუღლე, თამარ სალაყაია. მან ვერ გაიხსენა, იყო თუ არა რესტორან „ძველ სახლში“ 2005 წლის 2 იანვარს, და არც რაიმე კონფლიქტის ფაქტი ახსოვდა.

ბ. დაცვის მხარის მოწმეები:

დაცვის მხარის მოწმეები ძირითადად ბრალდებულთა თანამდებობებზე დანიშვნის ბრძანებების კანონიერებაზე და მათი ძალაში შესვლის დროზე საუბრობდნენ. ერთ-ერთმა მოწმემ, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის სფეროში მუშაობდა, აღნიშნა, რომ პირი თანამდებობაზე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ინიშნება და, თუ აქტი ბრალდებულებს 2005 წლის 14 იანვარს გაეცნოთ, ისინი თანამდებობის პირებად მიიჩნევიან ამ თარიღიდან და არა 2005 წლის 3 იანვრიდან, როდესაც მათ უფლებამოსილების განხორციელება დაიწყეს.

მოწმედ დაიკითხა ასევე ლევან ქარდავა (მეგის ქარდავას ძმა), რომელმაც განაცხადა, რომ არაფერი სმენია 2005 წლის 5 იანვარს ჩადენილი რაიმე დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. მისი ჩვენების თანახმად, ბრალდებულები თანამდებობებზე იანვრის ბოლოს დაინიშნენ. დაცვის მხარის კიდევ ერთმა მოწმემ თითქმის ასეთივე ჩვენება მისცა.

6. განაჩენი

სასამართლომ დავით ახალაია უდანაშაულოდ ცნო თავისუფლების უკანონო აღკვეთის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ჩადენის ბრალდებაში.

დავით ახალაია, იოსებ თოფურიძე, გერონტი ალანია და ოლეგ მელნიკოვი დამნაშავედ იქნენ ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებაში.

სასამართლომ 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ყველა ბრალდებულს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით და საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

7. ჩვენი დაკვირვება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დამკვირვებლებს პროცესზე მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები და საყურადღებო ფაქტები არ დაუფიქსირებიათ.

ბაჩანა ახალაია (ე. წ. ციხის ბუნტის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ბაჩანა ახალაია, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე – სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

მეგის ქარდავა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

რევაზ ჭარბაძე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი.

დავით ჭაკუა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის მ. შ..

2. რით გამოიხატა ქმედება

ბრალდების თანახმად, ბაჩანა ახალაიამ შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვით, საზოგადოებაში უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 და №5 დაწესებულებებსა და მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებებში მსჯავრდებულები ბუნტის მოწყობას აპირებდნენ. **ამ გეგმის მიზანი იყო ბაჩანა ახალაიას მიერ პატიმრების წამებისა და მათდამი სასტიკი მოპყრობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება.** მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ **პ. მ.**-მ, **ზ. ვ.**-მ, **გ. ა.**-მ და **ლ. ც.**-მ არ შეასრულეს აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული მოქმედებები, რის გამოც მათ ბრალდებულებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დამამცირებელი ქმედებები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში მოთავსებული სხვა პირების დასანახად ხორციელდებოდა, რასაც, ბრალდების თანახმად, მოჰყვა სამკურნალო დაწესებულებებსა და პირველ და მე-5 საპყრობილეებში არეულობა, რომელიც ბუნტში გადაიზარდა.

3. მნიშვნელოვანი გარემოებები/ფაქტები

ერთ-ერთ სხდომაზე პროკურორმა სასამართლოს მოსთხოვა, საქმის განხილვა 1 თვით გადადებულიყო, რადგან პროკურორებს ბევრი საქმე ჰქონდათ და მასალების კარგად შესწავლას ვერ ასწრებდნენ. სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. მომდევნო სხდომაზე პროკურორი სასამართლოში არ გამოცხადდა. ბრალდების მხარის ოფიციალური განცხადების თანახმად, პროკურორის გამოუცხადებლობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული, თუმცა იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პროკურორი ქუჩაში იყო შემჩნეული და მისი ჯანმრთელობის პრობლემები არ იკვეთებოდა. სასამართლომ პროკურორი რევაზ ნადიი 300 ლარით დააჯარიმა.

მოგვიანებით სხდომის გადადების მიზეზი სხვა პროკურორის მიერ თვითაცილების მოთხოვნა გახდა. პროკურორმა განაცხადა, რომ იგი ობიექტური ვერ იქნებოდა, რადგან ის და ბაჩანა

ახალაიას მეუღლე წარმოშობით აფხაზეთიდან იყვნენ და საერთო ნაცნობები ჰყავდათ, ეს ფაქტი კი გავლენას ახდენდა მის ობიექტურობაზე.

საქმის განხილვის გადადებას პროკურატურა 2013 წლის 10 სექტემბრიდან პროცესის ბოლო ეტაპამდე (დასკვნითი სიტყვების წარმოთქმა) ცდილობდა. სხდომის არაერთხელ გადადების გამო დასკვნითი სიტყვები, 10 სექტემბრის ნაცვლად, 17 ოქტომბერს იქნა წარმოთქმული, გადაწყვეტილება კი 28 ოქტომბერს გამოცხადდა.

მოვლენათა ასეთი განვითარება ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ პროკურატურის მიზანი პროცესის ხელოვნურად გაჭიანურება იყო. სწორედ პროკურატურის მიზეზით სხდომის რამდენჯერმე გადადებამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საქმის სწრაფ განხილვას.

ბაჩანა ახალაიას წინააღმდეგ წარმოებულ 3 სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული მოსამართლეები ერთსა და იმავე დღეს გადმოიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა სასამართლოდან. ამგვარი დამთხვევა კითხვებს ბადებს. ასეთი პრაქტიკა საეჭვოს ხდის პროცესის ობიექტურობას, არ უპასუხებს გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს და სასამართლოში საქმეთა განაწილების წესის ხარვეზიანობაზე მიუთითებს.

4. აღკვეთის ღონისძიება

პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა ბაჩანა ახალაიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. პროკურორის განცხადებით, იყო იმის საშიშროება, რომ ბრალდებულს მოწმეებზე ზეწოლა მოეხდინა.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას. იგი ძირითადად იმაზე მიუთითებდა, რომ ბაჩანა ახალაიას პატიმრობა სხვა საქმეზე რამდენჯერმე ჰქონდა შეფარდებული; ამდენად, აღკვეთის ღონისძიების სახით მისი კიდევ ერთხელ გამოყენება კანონის დარღვევა იქნებოდა; ამასთანავე, ვინაიდან ბაჩანა ახალაია დაპატიმრებული იყო, მოწმეებზე ზემოქმედების რისკიც არ არსებობდა.

განჩინება: მოსამართლემ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და ბაჩანა ახალაიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. პატიმრობა იქნა გამოყენებული სხვა ბრალდებულების მიმართაც.

5. პროცესის მიმდინარეობა

5.1. შუამდგომლობები

ა. ბრალდების მხარის შუამდგომლობა:

1. დასკვნითი სიტყვის წარმოთქმამდე პროკურორმა მოითხოვა სხდომის თითქმის 1 თვით გადადება იმ მოტივით, რომ პროკურორებს მიმდინარე თვეში ძალიან ბევრი საქმე ჰქონდათ.

განჩინება: სასამართლომ შუამდგომლობა არაგონივრულად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

2. პროკურორმა თვითაცილება მოითხოვა. მან აღნიშნა, რომ არ ჰქონდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება, რადგან ისიც და ბაჩანა ახალაიას ცოლიც აფხაზეთიდან იყვნენ და ჰყავდათ საერთო ნაცნობები, რომლებიც მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ

როგორც პირადად, ისე სოციალური ქსელების მეშვეობით. ამასთანავე, პროკურორის განცხადებით, იგი ბაჩანა ახალაიას ადვოკატთან, გოგა ონიანთან, მეგობრობდა.

პროკურორის თქმით, მას გაუჭირდებოდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღება და ამის გამო ითხოვდა თვითაცილებას.

დაცვის მხარის პოზიცია: დაცვის მხარემ განაცხადა, რომ პროკურორის მიერ ჩამოთვლილი არგუმენტები მყარი არ იყო და პროკურორის ქმედება ბაჩანა ახალაიას სასამართლო პროცესის შეგნებულ გაჭიანურებას ემსახურებოდა. ასევე შეაფასა ეს ფაქტი თავად ბაჩანა ახალაიამ.

განჩინება: მოსამართლის განმარტებით, როდესაც პროკურორი ეჭვობს, რომ ვერ მიიღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, იგი აცილებული უნდა იქნეს. ამიტომ მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

ბ. დაცვის მხარის შუამდგომლობა:

1. შესავალი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა, ბაჩანა ახალაიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. დაცვის მხარემ განაცხადა, რომ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2006 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამ ნორმით გათვალისწინებული ქმედება კი ნაკლებად მძიმე დანაშაულია. მისი ხანდაზმულობის ვადა, მაშინ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, იყო 6 წელი, რომელიც 2012 წლის მარტში ამოიწურა. ამდენად, დაცვის მხარემ მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა უკანონოდ მიმდინარეობდა, და მისი შეწყვეტა მოითხოვა.

განჩინება: სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. სასამართლომ განჩინების საფუძვლად ის გარემოება მიუთითა, რომ დაცვის მხარემ შუამდგომლობის დაყენების წესი დაარღვია; კერძოდ, მას აღნიშნული შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომაზე უნდა დაეყენებინა. ამასთანავე, ასეთ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მხოლოდ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად შეუძლია; ამდენად, ამ ეტაპზე იგი არ იყო უფლებამოსილი, შუამდგომლობის კანონიერ საფუძვლებზე ემსჯელა.

5.2. მოწმეთა ჩვენებები

დაიკითხნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მოწმეები.

დაცვის მხარის მოწმეებმა უარყვეს ბაჩანა ახალაიას მიერ იარაღის ტარება და ძალადობის განხორციელება.

ბრალდების მხარის მოწმეებმა კი დაადასტურეს ბაჩანა ახალაიას მიერ მსჯავრდებულთა ცემა.

მოწმის სახით ჩვენება ბაჩანა ახალაიამაც მისცა. მისი განცხადებით, იმ დროს ციხეში სრული ანარქია იყო. დაწესებულებას კანონიერი ქურდები მართავდნენ, მთელი სისტემა მათ ხელში იყო, ის კი გავლენიანი კანონიერი ქურდებისთვის ამ ძალაუფლების შეზღუდვას ცდილობდა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ის აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა და, დროის უკან დაბრუნება რომ შესძლებოდა, იმავეს გააკეთებდა. მან ასევე უარყო ის ფაქტი, რომ ვინმეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

6. განაჩენი

სასამართლომ რევაზ ჭარბაძეს, დავით ჭაკუას და მეგის ქარდავას მოუხსნა ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება და დამნაშავედ ცნო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებაში.

ბაჩანა ახალაიას მოეხსნა ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდება და დამნაშავედ იქნა ცნობილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებაში.

2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ყველა ბრალდებულს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით და საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 2 წლისა და 3 თვის ვადით; დამატებით სასჯელად ბაჩანა ახალაიას განესაზღვრა ჯარიმა 4 000 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა ბრალდებულებს − ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

შენიშვნა: მსჯავრდებული ბაჩანა ახალაია პრეზიდენტმა შეიწყალა. ამის შესახებ საზოგადოებას მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში თავისი ვებგვერდის საშუალებით აცნობა.

7. ჩვენი დაკვირვება

პროცესისადმი პროკურატურის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არაერთხელ გამოიკვეთა. აშკარა იყო, რომ პროკურორები ყალბი მიზეზებითა და დაუსაბუთებელი შუამდგომლობებით ყველანაირად ცდილობდნენ საქმის გაჭიანურებას. ასეთი მიდგომა მიუღებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული. პროკურატურამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პირის წინასწარ პატიმრობაში დატოვება მხოლოდ უკიდურესი ზომა უნდა იყოს. მისი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გაზრდა და პროცესის გაჭიანურება დაშვებელია.

საქმის განხილვისას სხვა მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც პროცესის მიმდინარეობაზე გავლენას მოახდენდა, არ დაფიქსირებულა.

ბაჩანა ახალაია (ე. წ. რეინჯერის კურსის საქმე)

1. ბრალდებული/ბრალდებულები და წაყენებული ბრალი

ბაჩანა ახალაია – სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით; წამება, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო; დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო.

დავით ვეკუა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი.

დავით ჩუბინიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის საკონტრაქტო თანამშრომელი.

ალექსი დავითაშვილი, დავით გიორგაშვილი, რობერტ სუთიძე, ვლადიმერ ზანგიევი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამთო-სადაზვერვო ბატალიონის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები.

მამუკა აბაშიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის (დეპარტამენტის) ყოფილი უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი.

წაყენებული ბრალი:

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

2. წამება, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

3. დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, ჩადენილი მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, პოლიტიკური შეხედულებების გამო, – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

2. რით გამოიხატა ქმედება

8 პირს ბრალი ედება იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს 7 თანამშრომლის წამებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში. ბრალდების თანახმად, ბაჩანა ახალაიამ შეიტყო, რომ აღნიშნული პირები

კოალიცია „ქართული ოცნების“ მომხრეები იყვნენ, და გადაწყვიტა მათი წამება და მათდამი დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, რომელსცა ორგანიზება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუწია. 2012 წლის 18 აგვისტოს ბაჩანა ახალაიამ პირველი სამმართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ზ. ფ.-ს, ხოლო დავით ვეკუამ დაამცირა და პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩააყენა 6 სხვა პირი. მოგვიანებით აღნიშნულ პირებს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები დააწერინეს, თუმცა შემდეგ ისინი გადაიყვანეს იალღუჯას საწვრთნელ ბაზაზე, სადაც სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა გაგრძელდა.

შენიშვნა: მოცემული საქმე სრულად იქნა განხილული წინა მონიტორინგის ანგარიშში[15]. ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის სასამართლოს პროცესის ყველა ეტაპი განხილული ჰქონდა; მოგვიანებით საქმეზე განაჩენიც იქნა გამოტანილი.

დაიკითხნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მოწმეები.

ბრალდების მხარის მოწმეებმა, რომლებსაც საქმეში დაზარალებულის სტატუსი ჰქონდათ, განაცხადეს, რომ მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მოწმეთა თქმით, მათ მიმართ განხორციელებულ უკანონო მოქმედებებს თან სდევდა სიტყვიერი შეურაცხყოფა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

დაცვის მხარის მოწმეთა განცხადებით კი, ე. წ. რეინჯერის კურსის შემადგენელი ნაწილი იყო ჯარისკაცებზე ფსიქიკური ზეწოლა, რომელიც შეიძლებოდა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფით გამოხატულიყო. ბრალდებულებმა უარყვეს მათთვის წაყენებული ბრალი. დაცვის მხარემ პროცესზე მტკიცებულებად წარმოადგინა ნაწამები სამხედრო მოსამსახურეების ფოტოსურათები, რომლებიც იმ პერიოდშია გადაღებული, როდესაც, ბრალდების მხარის მტკიცებით, ისინი უნდა ეწამებინათ.

3. განაჩენი

მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ბაჩანა ახალაიას, და სხვა ბრალდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

[15] http://transparency.ge/post/report/gakhmaurebuli-siskhlis-samartlis-sakmeebis-sasamartlo-monitoringi